საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 19 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. მესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 187 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 187

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

აგვისტოს 19-ს ს. გომში (ქართლი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი
ამხ. ნიკოლოზ კაციაშვილის
გარდაცვალებიდან წელიწად-ნახევრის შესრულების გამო.
(უ. 2—2)

ფოთის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 22 აგვისტოს, დღითი კვირას, დილის 11 საათზე დანიშნულია მეორმოცე დღის სამოქალაქო პანაშვიდი აწ გადაცვლილის ფოთის ქალაქის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის და დამფუძნებელი კრების წევრის
ლავრენტი (ლავროსი) პავლეს ძე
კ ი ღ უ რ ა ძ ი ს
სულის მოსახსენებლათ ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად არჩეულ პანთეონზე. (2700—1—1)

ს. ს. დ. მ. პ. ფოთის კომიტეტი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას 22 აგვისტოს 1920 წელს დილით 11 საათზე ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად დაარსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი იშვიათი ხელმძღვანელის და ძვირფასი ამხანაგის
ლავროსი კიღურაძის
და გმირულად დაღუპული გვარდიელის ადერბეიჯანის ფრონტზე
შალვა გოგიჩაიშვილის
ორმოცი დღის აღსანიშნავად. (2701—1—1)

ფოთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 22 აგვისტოს ამა წლისა დილით 11 საათზე ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად დაარსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი იშვიათი საზოგადო მოღვაწის და ძვირფასი ამხანაგის
ლავროსი კიღურაძის
და კავშირთა საბჭოს წევრის გმირულად დაცემულის ადერბეიჯანის ფრონტზე გვარდიელის ამხ.
შალვა გოგიჩაიშვილის
ორმოცი დღის აღსანიშნავად. (2701—1—1)

ფოთის სახალხო გვარდიის შტაბი ამით აუწყებს ამხანაგებს რომ კვირას 22 აგვისტოს ამა წლისა ადგილობრივ ახლად დაარსებულ საზოგადო მოღვაწეთა და მებრძოლთა პანთეონში, დილით 11 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სამშობლოსათვის თავდადებულ იშვიათ მებრძოლ ადერბეიჯანის ფრონტზე გმირულად დაღუპულ ამხანაგის
შალვა გოგიჩაიშვილის
ორმოცი დღის აღსანიშნავად. (2701—1—1)

ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალური კავშირი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას 22 აგვისტოს დილით 11 საათზე ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად დაარსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი ამხანაგის და სამაგალითო რევოლიუციონერის
ლავროსი კიღურაძის
და გმირულად დაღუპულ გვარდიელის ადერბეიჯანის ფრონტზე.
შალვა გოგიჩაიშვილის
ორმოცი დღის აღსანიშნავად. (2701—1—1)

ფოთის მომხმარებელი საზოგადოების „ეკონომიის" გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ კვირას 22 აგვისტოს ამა წლისა დილით 11 საათზე ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად დაარსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ყოფილ გამგეობის წევრის ხსენებული კოოპერატივის, იშვიათი მოქალაქის, ადერბეიჯანის ფრონტზე გმირულად დაღუპული გვარდიელის
შალვა გოგიჩაიშვილის
ორმოცი დღის აღსანიშნავად. (2701—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მართა ბართლომეს ასული, სოფიო პავლეს ასული, იუსტინა და გიორგი ივანეს ძე დუნდუები, ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ რკ. გზის საავათმყოფოში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორის საყვარელი შვილი და უკანასკნელთა ძვირფასი მამა
ილია (ბიჭიკო) ივანეს ძე დუნდუა
გამოსვენება თფილისიდან 18 აგვისტოს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2698—1—1)

მწუხარებაში მყოფნი სიდედრი ნინო გოგუაძისა, ბიცოლა ანნა, გოგუაძისა, ცოლის და ოლია როდეიოსა, რძლები მარიამ და შუშანიკა გოგუაძენი, ცოლის ძმები: ვლადიმერი, დავით, ილია ბართლომეს ძენი გოგუაძენი და ქვისლი ივაე როდეი ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს რომ თფილისის რკინის გზის საავათმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი სიძე
ილია (ბიჭიკო) ივანეს ძე დუნდუა
(2698—1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ
ა. წ. 1 სექტემბრიდან იხსნება
მებოსტნეობის პრაქტიკული
ს კ ო ლ ა
პირობებისა და ცნობების მიღება ყოველ დღე 8—12 საათამდე. (მუშტაიდის შესახვევი № 4, ყოფილი საბაღოსნო სკოლა). (ნ. 12—3)

ახალციხის ერობისათვის
საჭიროა მომრიგებელ-მოსამართლე
თხოვნები მიიღება: ახალციხე ერობას. ერობის გამგეობა. (2269—3—2)

ახალციხის სამაზრო ერობის
ხმოსანთა ყრილობა
დანიშნულია 28 აგვისტოს, დღის წესრიგი: 1) მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა. 2) გამგეობის მე-5-თე წევრის არჩევა. 3) მთავრობის სესხის აღების შესახებ. 4) შტატების გადასინჯვა. 5) მიმდინარე კითხვები.
ერობის გამგეობა. (2269—3—2)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33.
(2614—თ.)

მორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას ესაჭიროება სამი
საგზაო ტეხნიკი
პირობები ხელსაყრელია. მთხოვნელთ შეუძლიათ მიმართონ პირდაპირ გამგეობას ქ. ზესტაპონში. (ნ. 3—2)

ს ა ს წ რ ა ფ ო დ
იყიდება ფურნე
თავის მოწყობილებით მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 81 II ვაჟთა გიმნაზიის პირდაპირა.
(2686—3—2)

ე ქ ი მ ი
მ. ზანდუკელი
ორი თვით წავიდა ბორჯომში და შესწყვიტა თფილისში ავათმყოფების მიღება. (2660—3—3)

## ბოლშევიკები და სპარსეთი

აზერბეიჯანის შემდეგ ბოლშევიკებს კიდევ გაუჩნდათ სოციალისტურათ მომზადებული ქვეყანა, განვითარებული სპარსეთის კომუნისტებმა ხელთ იგდეს ერთ ნაწილში ძალა უფლება და ამ რიგათ კომუნისტურ ინტერნაციონალს ერთი მებრძოლი შეემატა. ბოლშევიკების გაზეთი „კომუნისტი" ასე აღნიშნავს ამ ფაქტს, სწორეთ იქ, სადაც კომუნისტური ინტერნაციონალის ძალების აღნუსხვა აქვს მოთავსებული: „სპარსეთი, სპარსეთის კომუნისტურმა პარტიამ ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს ერთ ნაწილში ძალა უფლება. მჭიდრო კავშირშია საბჭოთა ადერბეიჯანთან, რუსეთთან, თურქესტანთან. ყავს წითელი არმია, რომელიც ჯერ-ჯერობით ინგლისელების წინააღმდეგ ომობს და სულ უფრო და უფრო იზრდება, კომუნისტური მოძრაობა გადაბმულია განუყრელად ნაციონალურ ბრძოლასთან ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ".

ამ ამონაწერში ყოველი სიტყვა მეტათ საგულისხმოა. მაგრამ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ ჟამათ ერთს: სახელდობრ იმას, თუ როგორ შეიძლება რევოლიუციური და წითელზე უწითლესი დროშით იმპერიალისტურ საქმის კეთება.

რომ სპარსეთს არც დიდი სოციალისტები ყავს თავის წიაღში, და არც კომუნისტები—ეს ყველამ იცის. იცის ისიც, რომ იქ არიან რუსეთის ჯარები, რომელნიც ფაქტიურათ იპყრობენ სპარსეთის ნაწილებს და შიგ ბატონდებიან. ამით რასაკვირველია ერთგვარ საფრთხეს უმზადებენ ინგლისის იმპერიალიზმს. მაგრამ განა არის ამაში რაიმე ელემენტი სოციალიზმის? რასაკვირველია არა.

ჩვენ თვალწინ იშლება ჩვეულებრივი გაგრძელება იმ პოლიტიკის, რომელსაც დიდი რუსეთი თვითმპყრობელ სურვილს აწარმოებდა.

როგორც ცნობილია რუსის მეფეები იპყრობდენ სპარსეთს ხან ინგლისის წინააღმდეგ, ხან მათთან შეთანხმებით და მორიგებით.

საბჭოთა რუსეთი იმავე საქმეს აკეთებს ინგლისის იმპერიალიზმთან ბრძოლის და ვითომ სოციალიზმის სახელით. მაგრამ განა ახალი სახელის მინიჭება შეცვლის ფაქტის ნამდვილ მნიშვნელობას? ფაქტი კი ის არის, რომ რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს ადერბეიჯანი და ჩრდილო სპარსეთის ნაწილები, ფაქტია ისიც, რომ ამ დაპყრობილ ადგილებიდან გაზიდეს ყველაფერი, რის გაზიდვაც კი შეიძლებოდა და ამ ნადავლს წითელი ადერბეიჯანის და წითელი სპარსეთის საჩუქარი დაარქვეს, რომელიც ვითომ ამ კომუნიზმის პროზელიტებმა უძღვნეს თავის მამამთავარს მოსკოვის კომუნისტებს.

განა სხვას რასმე აკეთებს იმპერიალიზმი სპარსეთში? განა იგიც ასე არ სწუწნის სიმდიდრეს და თავის ქვეყანაში არ გადააქვს?

ამ მხრივ მსგავსება სრულია; დამპყრობილი სარგებლობს დაპყრობილს სასიცოცხლო, საარსებო ქონებით. მაგრამ არის განსხვავება რუსეთისა და ევროპის იმპერიალიზმს შორის. რუსეთს მხოლოდ გააქვს ის, რაც უკვე მოპოვებულია და დამზადებული. ევროპის კაპიტალისტებს კი შემოაქვთ ხანდისხან კაპიტალიც და ადგილობრივ სიმდიდრეს ამუშავებენ. ამ რიგათ ბოლშევიზმს გააქვს და არაფერს ქმნის, ევროპიელებს გააქვთ და რაიმეს მაინც ქმნიან ამ დეფექტის ასანაზღაურებლად. ბოლშევიზმს აქვს. წითელი და თვალწარმტაცი ლოზუნგები. ბედნიერების დაპირებანი. მაგრამ დაპირებებით დღეს ვინ დაკმაყოფილდება? ამ რიგათ, როგორც იმპერიალისტური, დამპყრობი ძალა ბოლშევიკური რუსეთი უარესია ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე.

ბოლშევიკური „კომუნისტი" კი მკითხველებსატყუებს, სპარსეთში კომუნისტები აღმოცენდენ და ნაწილი სახელმწიფოსი დაიპყრესო.

ცხადია ასეთი „ინფორმაცია" შეცდომაში ვერავის შეიყვანს და იგი მხოლოდ იმ ტრაბახის და ფალსიფიკაციის ერთერთ ნიმუშათ დარჩება, რომელშიაც ბოლშევიკური მწერლები ასე დახელოვნებული არიან.

## რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ბეჭ. ბიურ. „განმარტება" და ლ. სოსნოვსკის წერილი

16 აგვისტოს თარიღით თფილისის გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებანი წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი, სადაც, სხვათა შორის მოთავსებული იყო შემდეგი განმარტება: „გაზ. „ბორბის" და „ერთობის" 11 აგვისტოს ნომერში ბეჭდვითი ბიუროს ცნობებისათვის გაკეთებულ სარედაქციო შენიშვნების გამო საქართველოში არსებულ რუს. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო იუწყება:

1) ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს კონსული სევასტოპოლში ვრანგელს მიესალმა ჩვენი არ არის და ამოღებულია თეთრგვარდიელთა გაზ. „ნოვაია რუსკაია ჟიზნ"-იდან.

2) „სუვორინის აღსარებანი" მოთავსებული იყო ყირიმის გაზ. „ვეჩერნეე ვრემია"-ში.

3) ბეჭდვითი ბიურო ყოველთვის აღნიშნავს ხოლმე ცნობების წყაროს".

ამ განმარტებასთან ერთად მოთავსებული იყო იმავე ბეჭდვითი ბიუროს შემდეგი ცნობა:

**საქართველო და ვრანგელი.**

**სევასტოპოლი.** 5 აგვისტო. ყირიმის პრესაში თანდათან უფრო ხშირად ვხედებით ცნობებს ვრანგელისადმი საქართველოს მთავრობის კეთილ-განწყობილების შესახებ. ასე მაგალ. „ვეჩერნეე ვრემია" სწერს: „ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია საქართველოს ჩვენზე ორიენტაცია. უკვე არის ამის დამამტკიცებელი ოფიციალური ცნობები".

ამა წლის სამი აგვისტოს „პრავდაში" (№ 169) მოთავსებულია ლ. სოსნოვსკის შემდეგი წერილი, სათაურით—**რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შესახებ**, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „ინგლისის იმპერიალისტებმა, რომელთაც აზიაში აჯანყებისტალღებმა კუდი აუწვა გადასწყვიტეს, რომ ბათომმა მათთვის დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. მოჰკრეს ჩემოდნები, ჩააწყვეს ყველაფერი გემებში, რის გაძარცვაც კი შეიძლებოდა და გაემგზავრნენ. წასვლის წინ მენშევიკებს ხელი დაუქნიეს—შეგიძლიათ დაიკავოთ ბათომიო.

ამის შემდეგ როგორც ჭეშმარიტმა ტარტარენებმა, მენშევიკებმა გაგზავნეს ბათომისკენ ჯავშნიანი მატარებლები და ყოველ სადგურიდან ასეთ რელიაციებს გზავნიან: ჩვენ დავიკავეთ სადგური ქობულეთი", „გავიწიეთ შემდეგ სადგურამდე".

დამფუძნებელ კრებაში მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს „გამარჯვებაზე". მეგაზეთეები ბულბულივით ამღერდნენ.

მენშევიკებს ავიწყდებათ მხოლოდ მოიგონონ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ბათომის საქართველოზე მიკუთვნებამ (თუმცა იმ დროს იქ ინგლისი ბატონობდა) გადასწყვიტა ბათომის ბედი. მაგრამ საქართველო-რუსეთის საზავო ხელშეკრულობაზე მენშევიკები ახლა გალიზიანებული ლაპარაკობენ. მათ კიდევ მოეჩვენათ, რომ ვრანგელი და პილსუდსკი ჩვენ გვჯობიან. აი რით აიხსნება მთავრობის (?) გაზეთის „გრუზიას" გულახდილი აღსარება, რომ აუცილებელია „ახალი უფრო ვრცელი და გარკვეული საზავო ხელშეკრულების პროექტის" შემუშავება.

აი რა მოსაზრებით ეწევიან მენშევიკები საბოტაჟს რუსულ-ქართულ კომისიაში, რომელმაც ხელშეკრულების ძალით უნდა გაატაროს ის გარანტია, რომ დენიკინის არმიის სალდათები და იარაღი ვერ იპოვნიან მფარველობას საქართველოს ტერიტორიაზე.

მე-75 ნომერში „გრუზია" გულახდილათ აცხადებს, რომ „არც სადმე მივიჩქარით და არც საჭიროა ესო". იქნებ ვრანგელს დასჭირდეს დენიკინის იარაღის ნაშთი.

მენშევიკებს, მაგალითად, არ სურთ ჩვენი კომისიის ბათომში შეშვება ინგლისელების გასვლისთანავე, ითხოვენ თავისთვის ათი დღის ვადას, რათა დენიკინის ბრბოს ამ ხნის განმავლობაში მიიღო საჭირო ზომები.

სხვა საბუთებიც იმის მაჩვენებელია, რომ მენშევიკები საზავო ხელშეკრულებას უცქერიან, როგორც ქაღალდის ნაგლეჯს.

ყოველ შემთხვევაში მე შემიძლია განვაცხადო, რომ არც ესტონეთის, არც ლატვიის ან ლიტვის მთავრობის პრესაში არ თავსდება ისეთი უხეში ლანძღვა-თრევა და შეურაცყოფანი მშვიდობიანობის პირობებში მყოფ საბჭოთა რუსეთისადმი, როგორც ქართულში.

მოვიყვან ერთ ფრაზას გაზეთ „გრუზიაში" (№ 75) მოთავსებულ წერილიდან.

„ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობისათვის საზოგადოთ არ არსებობს არავითარი ხელშეკრულება, არავითარი სიტყვა გარდა ძარცვისა და ძალადობისა, სადაც ეს მათ გაუდის".

აშკარაა, საქართველოს მთავრობა გადაწყვეტით ატარებს იმ პოლიტიკას, რომ გააყალბოს ზავი. როგორც სჩანს, ის ფიქრობს ახალი ძალის შველაზე (ვრანგელი?)

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხ. ჩიჩერინი შესძლებს გამოარკვიოს, თუ საიდან მომდინარეობს მენშევიკების ბრძოლის ჟინი და მიიღებს საკმაოდ ძლიერ ზომებს რესპუბლიკის დასაცავად ბატონ ჟორდანიას და კომპ. სიურპრიზებისაგან".

ასეთია ოფიციალური განმარტება და ასეთია არა ოფიციალური პარტიული „დანოსი". ამ უკანასკნელის შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით. ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლის, ვიდრე კომუნისტური პარტია საერთოდ შეურიგდებოდეს ზავს საქართველოსთან. კომუნისტურ პარტიაში დიდ ხანს დარჩებიან სოსნოვსკები და ძმანი მათნი, რომელნიც არ დაიშურებენ არავითარ საშუალებებს სიტყვით მენშევიკებთან, მაგრამ საქმით საქართველოსთან ანგარიშების გასასწორებლათ.

ამის დასამტკიცებელი ერთ ერთი საბუთთაგანი ზემო მოყვანილი ლ. სოსნოვსკის წერილია.

მაგრამ ასეთივე თვალსაზრისით ჩვენ ვერ შევხედავთ საბჭოთა მისიის განმარტებას.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად აღიარა, რომ მას ყირიმში არავითარი ელჩი არ მოეპოვება, რომ ვილაც ბარამიძე არ ყოფილა საქართველოს რწმუნებული და სხ. როცა საბჭოთა ადგილობრივმა მისიამ უწყის, თუ რა დამოკიდებულებაშია საქართველო ვრანგელთან ყველა ამის შემდეგ ისეთი ცნობების გადმობეჭდვა თუ გინდ „წყაროს აღნიშვნით", როგორსაც ავრცელებს ბეჭდვითი ბიურო, ჩვენ მიგვაჩნია საქართველოსადმი არა მეგობრული დამოკიდებულების მაჩვენებლათ.

მით უმეტეს, რომ კომუნისტური წარმომადგენლობა საქართველოს შესახებ ყოველ ჭორს უჯერის ისეთ გაზეთებს, როგორც სუვორინის გაზეთია და სიამოვნებით ცდილობს მისი ყალბი და უტიფარი ინფორმაციის გავრცელებას, რა მიზნით ცხადი უნდა იყოს. ხოლო სოსნოვსკები ამ ცნობებზე და ადგილობრივ მემარჯვენე გაზეთ „გრუზიაზე", რომელიც მთავრობის გაზეთათ გამოაქვთ თუმცა იციან, რომ იგი მთავრობის წინააღმდეგი ორგანოა და დასჯილ იქნა მთავრობისმიერ სწორეთ საბჭოთა რუსეთის შესახებ არა მეგობრული წერილის მოთავსებისათვის. აქ ხმაშეწყობილია საბჭოთა წარმომადგენლობის საინფორმაციო ბიურო და ბ-ნი სოსნოვსკები. აი ამაში შეგვიძლია ჩვენ დავინახოთ მეგობრული განწყობილების გზიდან ძალიან შორს გადახვევა და სულ სხვა ატმოსფეროს შექმნა, ვინემ კეთილგანწყობილებას შეეფერება.

## პ რ ე ს ა

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ხაზი გარკვეულია. საზოგადოებრივ მეურნეობას აშკარა უპირატესობა აქვს მინიჭებული. მაგრამ არც კერძო ინიციატივაა დავიწყებული ამასთან ერთად. ეს რასაკვირველია, არ აკმაყოფილებს, კომუნისტების ორგანოს, რომელსაც უნდა საქართველოს წარმოებაც ისეთ ნანგრევებათ აქციოს, როგორც რუსეთის კომუნისტური წარმოებაა.

ბათომში ფინანსთა მინისტრმა უცხო ვაჭრებს და მრეწველებს მისცა გარანტია, რომ მათ არც საქონელს ჩამოართმევენ, არც სამრეწველოებს დაუკეტავენ, თუ კი ისინი სათანადო ინიციატივას გამოიჩენენ". ამაში გაზ. „კომუნისტმა" სოციალიზმის ღალატი დაინახა და წინააღმდეგობაში დაჭერა დაგვიპირა. გაზეთი ასეთ უკბილო ირონიულ დასკვნას აკეთებს:

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის კიდევ ერი? ბედნიერი ვართ მით, რომ მუშათა მოძრაობის სათავეში გვყავს ასეთი გულახდილი, მართოთ მართო სიმართლის მთქმელი ბელადები, და სამინისტრო პოსტებზედაც ჭეშმარიტების მოყვარული პირნი. მარა მაინც „ცნობად მოყვანილი" არაა—სოციალისტურ სამშობლოში ცხოვრობენ და მოქმედებენ ჩვენი სპეკულიანტები, თუ ხელშეუხებელ კერძო ინიციატივის ქვეყანაში?" (იხ. „კომ." № 20, „თითქმის სოც. ოაზისში".

რომ უცხო კაპიტალის შემოტანა აუცილებელია ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორც საქართველოა და ან თუნდ რუსეთი, ეს უდაო ჭეშმარიტება მოსკოვის კომუნისტებმაც დიდი ხანია შეიგნეს და თვით პაპა კომუნისტებისა ლენინი ეპატიჟება უცხო კაპიტალს რუსეთში და და გარანტიას აძლევს, რომ იგი ხელშეუხებელი იქნება. საკითხავია: რატომ ლენინს არ აუმხედრდებიან ჩვენი უებრო „კომუნისტები" და ჩვენზე ილესავენ დაჩლუნგებულ კბილებს?

ორში ერთი: ან არ ესმისთ რას სწერენ, ან განზრახ სჩადიან სიყალბეს, რომ ერთხელ კიდევ თავის გულუბრყვილო მკითხველები აბუჩათ აიგდონ.

## რუს. ს. დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომიტ. უწყებანი *)

№ 1.

30 ივლისი 1920 წ.

**ბ. ა. კოლცოვი (გინზბურგი)**

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 5 ივლისს ქ. უფაში გარდაიცვალა რუსეთის სოციალდემოკრატიის ერთი ვეტერანთაგანი 57 წლის მოხუცი ბორის აბრამის ძე კოლცოვი.

ჯერ კიდევ მე-80 წლეებში, სტუდენტობის დროს კოლცოვი მუშაობდა, პეტერბურგში „ნაროდოვოლცების" წრეში, რომელიც მუშებში ეწეოდა პროპაგანდას. აქ ის გაეცნო რუსის სოც.-დემოკრატების პირველ ჯგუფს (ხარიტონოვი, გერასიმოვი, ბლაგოევი და სხ.) მისი პეტერბურგიდან გადასახლების გამო ვეღარ მოხერხდა კოლცოვ-ს მათთან უფრო ახლო მუშაობა. 1892 წ. მან უცხოეთს შეაფარა თავი და მალე მიემხრო „შრომის განთავისუფლების ჯგუფს" და მრავალ წლის განმავლობაში მუშაობდა გ. ვ. პლეხანოვსა და პ. აქსელროდთან ერთად, უმთავრესად სახალხო საპროპაგანდო ლიტერატურის სფეროში. მის კალამს, სხვათა, შორის ეკუთვნის ბროშიურები „მანქანა" და „8 საათის სამუშაო დღე", რამდენიმე წერილი მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე და ტუნ-ის „რევოლიუციონერ მოძრაობის ისტორიის" წინასიტყვაობა. 1901 წლიდან ბ. ა. კოლცოვი გახდა „ისკრი"-ს მუდმივი თანამშრომელი. 1903 წ. რუს. ს. დ. მ. პარტიის ყრილობაზე, მონაწილეობა მიიღო მენშევიკების ფრაქციაში, შემდეგ კი „ისკრი"-ს რედაქციაში შევიდა. 1905 წ. ის მენშევიკურ გაზ. „ნაჩალო"-ს რედაქციის წევრი იყო; შემდეგ მონაწილეობას იღებდა, ხან როგორც რედაქტორი, ხან კი როგორც თანამშრომელი სატახტო ქალაქებში გამოსულ მენშევიკურ ჟურნალ გაზეთებში. ის აგრეთვე

*) ვბეჭდავთ ამ „უწყებებს" შეუმოკლებლათ.

შემცდარი იქნება მკითხველი თუ იფიქრებს, რომ ეს „უწყებანი" მოსკოვში რუსეთ ს სოც. დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ისეა გამოცემული, როგორც შეეფერება საზოგადოდ ასეთი „უწყებების" გამოცემა თავისუფალ ქვეყანას.

„უწყებანი" დაბეჭდილია რემინგტონზე ორთ გვერდ ქაღალდზე: როგორც მკითხველი მიხვდება, დაბეჭდილია ჩუმად, არალეგალურად. ეტყობა,—შიშით და საჩქაროთ ვერ დაუბეჭდავთ სუფთად და გასაგებათ. ბევრი ადგილი ვერ გავარჩიეთ, განსაკუთრებით ციფრები, მაგრამ, ვფიქრობთ, რაც გავარჩიეთ და დავბეჭდეთ, ისიც საკმაოა იმის წარმოსადგენათ, თუ რა ხდება ამ ჟამად საბჭოთა რუსეთში. რედ.

# დღეს

[illegible]

...ბობს, რომ ამ შემთხვევაში პროგრესიულ ბურჟუაზიასთან კოალიცია მართლდებოდა დემოკრატიულ რეჟიმის საფუძვლთა გადარჩენაზე ზრუნვით. პირიქით, ცენტრ. პარტია ფიქრობს, რომ თუ ბურჟუაზიულ მთავრობისადმი ისევ ოპოზიციაში დარჩება, სოც.-დემოკრატია უფრო სწორედ დაიცავს სახელმწიფოს რესტავრაციისაგან, აიძულებს შეძლებულ კლასებს დიდი სიფრთხილით მოიქცეს. ფირენბანის მთავრობის პირველი ნაბიჯები და გამოსვლები ამტკიცებს ასეთი აზრის სისწორეს.

— გარდაიცვალა რუმინიის სოც.-დემ. პარტიის დამაარსებელი ამხ. დობროჯან გერა (კაც), რუსეთის ემიგრანტი, 193-თა პროცესის" მონაწილე. მან პირველად გაავრცელა რუმინიაში მარქსისტული პროპაგანდა. ის ომის პირველ დღიდანვე ინტერნაციონალისტი იყო, არ გაჰყვა თავისი მოწაფეთა უმრავლესობას, რომლებიც კომუნისტებთან გადავიდნენ. მრავალ წლის განმავლობაში ამხ. დობროჯანი მეგობრული განწყობილებით იყო დაკავშირებული რუსეთის მენშევიკებთან და ჩვენ პარტიას უწევდა ყოველგვარ დახმარებას, ნივთიერადაც. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მუძღვის მას რუსეთის რევოლიუციისადმი 1905 წ., როცა შესძლო, დაეტოვებინა რუმინიაში „პოტიომკინის" მეზღვაურები და ფართე დახმარება აღმოუჩინა მათ.

**პარტიული მუშაობა მოსკოვში.**

ოპოზიციონურ მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ ტერორმა მოსკოვში საშინელი, აუტანელი ატმოსფერა შექმნა ჩვენი მუშაობისთვის და უფრო გაძლიერა მუშათა წრეებში აპატია და დაბეჩავება.

სოციალისტების მიმართ პრესაში წარმოებულ წასისიანებას მოჰყვა 3 ბრძანება, რომლითაც აღკრძალეს ყოველგვარი აგიტაცია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ე. ი. კომუნისტურ პარტიის პოლიტიკის ყოველგვარი კრიტიკა და აგრეთვე აღკრძალეს ჩვენი გამოსვლა მუშათა კრებებზე და მიტინგებზე, განსაკუთრებულ ნებართვის აუღებლად. მოსკოვის კომიტეტმა სთხოვა მოსკოვის „სოვდეპს" მუდმივი ნებართვა თავისი წარმომადგენლებისთვის, მაგრამ უარი მიიღო.

მოსკოვის ერთ-ერთ საქალაქო პარტიულ კონფერენციის დადგენილებით მოეწყო პარტიული შკოლა სოც.-დემ. პროპაგანდის და ტაქტიკის ძირითადი საკითხების გასაშუქებლად და პარტიულ მუშაკთა მოსამზადებლად. განზრახულია მეცადინეობა სწარმოებდეს შემდეგი პროგრამით: 1) ფილოსოფიური და ისტორიული მატერიალიზმი, 2) მუშათა მოძრაობის ისტორია, 3) რუს. სოც.-დემ. ისტორია 4) კაპიტალისტურ განვითარების ტენდენცია, 5) მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია და რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიის პრინციპები.

პარტიულმა ახალგაზრდობამ შექმნა სოც.-დემ. კავშირი, სადაც შედიან აგრეთვე პარტიის თანამგრძნობი ახალგაზრდებიც. კავშირი მიზნათ ისახავს მუშა-ახალგაზრდობაში უფრო შეგნებულ ელემენტების აღზრდას რევოლიუციონ-

[illegible]

...ნებულიყო იმაში, რომ მცხოვრებლებმა დიდი ჯაფა გასწიეს აღდგენის საქმეში და რომ ხალხს დიდი რწმენა აქვს თავისის თავისა და მთავრობისა. ყველგან, სადაც კი ის მივიდა, მან ერთნაირი სანუგეშო შთაბეჭდილება მიიღო და გაიგონა გამამხნევებელი სიტყვა (დამახინჯებული) ქ. ვალანსიენის მოურავმა მას დაუხატა გაუბედურებულ ქალაქის მდგომარეობა, რომელიც გაანადგურა გერმანელებმა და სადაც 65% შენობისა დანგრეულია მცხოვრებლები თხოულობენ დანგრეულ შენობათა დაუყოვნებლივ აღდგენას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „თქვენ ამბობთ დაუყოვნებლივ და სავსებით აღდგენილ იქნას დანგრეული შენობები. საფრანგეთი გერმანიის მევალეა. ჩვენ არ დავაყოვნებთ და მოვსთხოვთ მას ზარალის სრულ გადახდას. ჩვენ სერიოზული ხალხი ვართ და იმიტომ მოვედით, რომ გავიგონოთ და ვსთქვათ სიმართლე. სიტყვაში, რომელიც კესნოეში წარმოსთქვა მილიერანმა, დაადასტურა, რომ სისხლით არის განმტკიცებული მოკავშირეთა ერთსულოვნება, რომელსაც შესწევს ძალა გარდამავალ დაბრკოლებათა გადატანისათ. უთანხმოება, რომელიც შესაძლებელია დაიბადოს მოკავშირეთა შორის, რომლებიც ამხანაგები იყვნენ ბრძოლაში და რომლებიც ამხანაგებათვე დარჩებიან მოსალოდნელ ბრძოლაშიაც, ეს უთანხმოება, გარწმუნებთ თქვენ, არსებითათ არაფერს არ სცვლის და სრულიად არ ასუსტებს იმის მტკიცე, ღრმა და აღმოუხვრელ რწმენას, რომ ჩვენი კავშირის განმტკიცება მოითხოვს არა მარტო მორალურ ვალდებულება, არამედ სასიცოცხლო ინტერესებიც. მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ავღნიშნავთ ჩვენს უთანხმოებას და ჩვენი ვალდებულებას აღვნიშნოთ იგი ყველამ კარგათ იცის, ყველა კარგათ გრძნობს, რომ მოკავშირენი მეორე დღესვე ხელი ხელ ჩაკიდებულნი წავლენ ერთ საერთო მიზნისაკენ: დაამკვიდრონ სამართლიანობა ქვეყნიერებაზე. ამ მიზნისათვის დაიღუპა, როგორც ეს ჩვენ თითონ ვიხილეთ კრეტ-დე-ვიმში, 30,000 კანადელი, ამ მიზანს შესწირა თავი ახალ ზელანდიის მთელმა დივიზიამ, რომელსაც სურდა კესნოეს უკან დაბრუნება. როდესაც ერებში ასეთი მოგონებანი არსებობს. შესაძლებელია კავშირის ღრუბლები გადაეკრას. მაგრამ ეს ღრუბლები გაჰქრება და კავშირი უფრო გაბრწყინდება.

## გერმანული ცნობები

**კომუნისტები და სპარტაკელები.**

თანახმად ჰამბურგიდან მიღებულ ცნობებისა, მას შემდეგ, რაც გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია ჩამოშორდა სპარტაკელებს, ჩრდილოეთ-დასავლეთის რაიონში კომუნისტური პარტია სპარტაკელებს „კომუნისტურ ლიგის" სახელწოდებით გამოეყო. ამრიგად მან ჰამბურგის ბოლშევიკების ლიდერებს დოქტორ ლაუფენბერგსა და ვოლფჰეიმს ულალატა.

**ნახშირის მიწოდება.**

აგვისტოს პირველ ნახევარის განმავლობაში გერმანიის მიერ ანტანტისადმი ნახშირის მიწოდება საგრძნობით აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს. უცხოეთის პრესის წინააღმდეგ, რომელიც უსაფუძვლოთ იწონებს ნახშირის ღირსებას, გერმანიის პრესა პროტესტს აცხადებს. ნახშირის ღირსება დამოკიდებულია იმ ადგილზე, საიდანაც მას იღებენ. მოკავშირეებისათვის ნახშირის გადაცემა ხდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულებით.

**ომისათვის ხელის შეშლა.**

ინგლისისა და საფრანგეთის მუშებმა გადასწყვიტეს ხელი შეუშალონ ყოველგვარ ომს დასავლეთ ევროპაში და არ შეუწყონ ხელი იმ ომს, რომელიც აღმოსავლეთში სწარმოებს. პოლონელებს უნდა გაეგოთ, რომ საფრანგეთს უნდოდა პოლონეთი თავის მიზნებისათვის გამოეყენებია. გერმანიის ავტორიტეტულ წრეებში უარყოფენ იმ ბრალდებას, რომელიც პოლონეთმა გერმანიას წაუყენა. ეს ბრალდება მდგომარეობს იმაში, თითქოს გერმანიამ დაარღვია ნეიტრალიტეტი და თითქოს გერმანელი გენერლები რუსებთან ერთად ხელმძღვანელობდენ პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებს. ამ ბრალდებას უარყოფს თვით რუსული რადიო, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარში მხოლოდ რამდენიმე გერმანელი ოფიცერი მსახურობს. პოლონეთის ბრალდება სიყალბეზეა აგებული.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიულეტენი.**

18 აგვისტო.

**ახალი კაბინეტი კონსტანტინოპოლში.**

ბათომი. 14 აგვისტო. „ისლამ გიურჯისტანი" იტყობინება, რომ ევროპიდან დაბრუნების უმალ დამად ფერიდ ფაშამ მისცა სულთანს გადადგომის თხოვნა. ახალი კაბინეთის შედგენა მასვე მიენდო, ახალი კაბინეთი შემდეგ პირებისაგან შესდგება: პრემიერ-მინისტრი, სამხედრო და საგარეო საქმეთა — დამად-ფერიდი, შეიხ-ულ-ისლამი-მუსტაფა საბრი ეფენდი, საზღვაო - გენ. შტაბის უფროსი ფერიდ ხამდი, შინაგან საქმეთა — რეშიდ-მუხტარი, იუსტიციის — ალი-რუშდი-ეფენდი, ფინანსთა — ნაზიფ-ბეი, საზოგადოებრივ სამუშაოთა ზეკი, მიწათ-მოქმედების და ვაჭრობის — ჯემალ-ბეი, განათლების — ხადი-ვაკუფოვ-მუსტაფა სულეიმანი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე — ექ. რიზა-ტოუფიკ-ბეი.

**ინგლისის მუშებს შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა.**

მოსკოვი. 13 აგვისტო. „ფორვერცი" იუწყება, რომ ინგლისის მუშათა პარტიის სხდომაზე პარტიის და პარლამენტის წევრმა კლარინმა განაცხადა:

„ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა პარტიას შეუძლიან ხელში აიღოს სახელმწიფოს მმართველობა და რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. მუშათა პარტიას ინგლისის მართვა ორივე ინგლისურ ისტორიულ: კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიებზე ცუდათ არ შეუძლია".

**გაფიცვები იტალიაში.**

ოდესა. 12 აგვისტო. გაზ. „პტი პარიზენი" იუწყება, რომ იტალიაში გაფიცვები არ სწყდება. გრძელდება ტრამვაის გაფიცვა, რამდენიმე ვაგონი დეპოში გავიდა, წითელი დროშებით მორთული. რომში ელექტრონის სადგური არ მუშაობს. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებები წამოაყენეს, ქუ-

15 ივლისს სხდომაზე ცკ-მ მიიღო და ამ ჟამად უგზავნის ორგანიზაციებს რუს. სოც.-დემ. პარტიის „თეზისებს საბჭოთა რუსეთის შესახებ.

# დამფუძნებელი კრება

**წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ფორმულა, წარმოდგენილი სოც.-დემ. ფრაქციის მიერ.**

განიხილა რა სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა და მიიღო რა მხედველობაში რესპუბლიკის მძიმე ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული საერთაშორისო ყოველგვარ გართულებასთან, დამფუძნებელი კრება ადგენს:

1. დაევალოს მთავრობას შემოდგომის სესიის დაწყებისათანავე წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებისა, რომლის დანიშნულება იქნება შედგენა ერთი მთლიან ეკონომიურ-ფინანსიურ გეგმისა და რომელშიც წარმოდგენილი იქნება რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ძალები, აგრეთვე სპეციალისტები ყველა დარგისა;

2. იქნეს მთავრობის მიერ შემდეგი ზომები მიღებული: ა) დაცული იქნას სწორწონილობა სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს შორის; ბ) ადგილობრივ თვითმართველობათ სესხი მხოლოდ წარმოებისათვის ეძლეოდეს და ისიც მაშინ, როცა განზრახული დარგი წარმოებისა წინასწარ არის შესწავლილი და შეფარდოებული რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობასთან და ტეხნიკის განვითარებასთან; გ) დაჩქარებით წარმოდგენილ იქნას კანონ პროექტი ადგილობრივ თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებისა და, სანამ ეს კანონი მიღებული არ არის, გაეწიოს ადგილობრივ თვითმართველობათ ხაზინიდან დახმარება მმართველობის აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ; დ) ცენტრალური და ადგილობრივ მმართველობის ორგანოები რაც შეიძლება გამარტივებულ და ხალხისათვის ადვილათ მისაწდომი იქნეს, — და გადადის მორიგ კითხვებზე.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 აგვისტო.

## ფრანგული ცნობები

[illegible]

ჩვენს პროჟექტორებით ანათებენ. გაფიცვებთან ერთად რევოლიუციონური მოძრაობაც იზრდება. აჯანყებულთა ერთი ჯგუფი რაიონში ტყვია-წამლის საწყობს დაეცა, ტრიესტის ახლო და მცველებზე იერიში მიიტანეს. ტყვიისმფრქვეველებით ერთი საათის სრულის შემდეგ დამსხმელები გაფანტეს.

**მოკავშირეთა მისიების წასვლა ვარშავიდან.**

რეველი, 12 აგვისტო. „რეიტერ"-ის ცნობით, ლონდონში ცნობა მოსულა, რომ ვარშავიდან გასულა ინგლისის და საფრანგეთის მისიები.

**ცნობის უარყოფა.**

მოსკოვი. 17 აგვისტო. (ოფიციალურად სამხედრო საქმეების სახალხო კომისარისაგან), გერმანულ პრესაში ვრცელდება ხმები, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია შეაჩეროს მოძრაობა წითელი არმიისა, რომელიც თითქოს სრულიად დამოუკიდებელია. ასეთი ცნობა—არის ბოროტი ტყუილი. წითელი არმიის წინ წაწევა ხდება განსაკუთრებული სისწრაფით და საგანგებო სისწორით და ყველაზე უფრო საჭირო პუნქტებს იკავებენ წითელი პოლკები საზოგადო წესის მიხედვით იმ დღეებში, რომლებიც მთავარსარდლობის მიერ არის ნაბრძანები. წითელი არმიის დამოუკიდებლობა იმაში გამოიხატება, რომ ის მშვენივრად არჩევს თავის თავის მეგობრებს მტრებისგან.

**ზავის შეკვრას სიხარულით ეგებებიან.**

რიგა. 14 აგვისტო. მთელი ლატვიის პრესა ცხარეთ ესალმება რუსეთსა და ლატვიის შორის ზავის დადებას. ზავის შეკვრის გამო. რიგა დროშებით იყო მორთული.

**სამხედრო ცნობა.**

მოსკოვი. 18 აგვისტო. (რადიო.) მოწინააღმდეგემ ფრონტი გაარღვია ჩრდილოეთით და ცეხანოვი აიღო, მაგრამ ჩვენი კონტრ-შეტევით მტერი უკუაგდეთ და ცეხანოვი დავიბრუნეთ. წამოვიყვანეთ 1200 ტყვე და ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი.

ნოვოგიორგიევსკის და ვარშავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლები სწარმოებს.

ვოლინის ვლადიმირის დასავლეთით ავიღეთ გრუბეშუვი და რამდენიმე სოფელი. ტარნოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე პუნქტი დაიჭირა და ბრძოლით ზბოროვს მიადგა.

დნესტრზე და შავი ზღვის სანაპიროზე მდგომარეობა უცვლელია.

ორეხოვის რაიონში მკაცრი ბრძოლების შემდეგ ტყვეები წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები.

**პურის გაწერა.**

მოსკოვი. 17 აგვისტო. (რადიო). სასურსათო სახალხო კომისარმა დაამტკიცა პურისა და ზეთის გამოსახდელ მასალის შეწერა გუბერნიებზე, რომლებმაც უნდა გადასცენ სახელმწიფოს განკარგულებაში ეს 1920-ს და 1921 წლის განმავლობაში. საერთო ციფრი პურის და მარცვლის ფურაჟის დამზადებისა ედრება 465 მილიონ ფუთს, იქიდან 168 მილ. ფუთი მოდის 18 მწარმოებელ გუბერნიაზე, 130 მილიონი ჩრდილოეთ კავკასიაზე და 110 ფუთი ციმბირზე.

**ექიმების მობილიზაცია.**

ბაქო. 17 აგვისტო. ბაქოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ყველა ექიმები, უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებიც, მობილიზაციით გაყვანილნი არიან. ისინი ირიცხებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ გამგეობაში.

# საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

18 აგვისტო.

**ჩიჩერინის დეპეშა.**

სტამბოლი. აგვ. 12. „ორიენტნიუსი" სწერს: ჩიჩერინმა დეპეშით წინადადება მისცა ბერლინში მყოფ საბჭოთა წარმომადგენელს: დაარწმუნეთ გერმანიის მთავრობა, რომ ჩვენ გერმანიის მიმართ არავითარი მტრული განზრახვები არა გვაქვს. საბჭოთა რუსეთი წინააღმდეგია დაპყრობითი პოლიტიკის და აღაფრთოვანებს მას ზავისადმი სიყვარული.

**ბრიტანეთ-გერმანიის ხელშეკრულება.**

ლონდონი. „დეილი ქრონიკლი" სწერს: ბრიტანეთისა და გერმანიის ხელშეკრულება დამნაშავეთა გაცემის, საფოსტო დამოკიდებულებისა და ვალიუტის გაცვლის შესახებ კვლავ ძალაში შევიდა.

**პოლიტიკური უფლება ქალებს**

პრაგა. აგვ. 3. ჩეხო-სლოვაკიის კონსტიტუცია ქალებს ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას ანიჭებს.

**ცხოვრების გაძვირება.**

რომი. აგვ. 3. „კორიერე დე-ლა-სერა" იუწყება: ინგლისში ცხოვრება გაძვირდა შედარებით ომის წინანდელ დროსთან $3\frac{1}{2}$ ჯერ, იტალიაში კი $6\frac{1}{2}$ ჯერ. ცხოვრების გაძვირებამ ნამეტურ უმაღლეს წერტილს მიაღწია ინგლისში მარტში და იტალიაში აპრილში. ამის შემდეგ ფასები თანდათან დაეცა. ივნისის ბოლო რიცხვებში ფასები 6% დაიწია, იტალიაში კი 10%. შემჩნეულია, რომ ინგლისში საქონლის ფასები კლებულობს იტალიაში არ იაფდება მადანი, ლითონი და მანუფაქტურა, სურსათი და პირველ მოთხოვნილების საგნები კი ძვირდება. საერთოდ ის საქონელი იაფდება იტალიაში, რომელიც უცხოეთში გააქვთ.

**სამხედრო „ჩრეზვიჩაიკების" გადახალისება.**

პარიზი, აგვ. 10, „ტანი" იუწყება: გერმანიის სოციალისტური პრესა აქვეყნებს რუსეთის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს განკარგულებას, რომლის თანახმად პოლონეთის ფრონტზე უნდა გაძლიერდეს სიკვდილით დასჯა დეზერტირებისა და უფროსისადმი დაუმორჩილებლობისათვის. სიკვდილით დაისჯებიან შემდეგი დანაშაულებისათვის: სამ-

სამსახურიდან გაქცევის, და ან სახელმწიფო ქონების გაყიდვის და გაფუჭების დეზერტირობის და დაუმორჩილებლობისათვის ამ მიზნით უნდა გადახალისდეს და გაძლიერდეს სამხედრო „ჩრეზვიჩაიკები“.

**საბჭოთა მე-13 ლაშქრის განადგურების მიზეზი.**

**სტამბოლი**, აგვ. 10. „სტამბული“ იუწყება: ტროცკიმ პირადად გამოიძია საბჭოთა რუსეთის მე-13 ლაშქრის სამხრეთის ფრონტზე განადგურების მიზეზი. გამოძიების შემდეგ შესდგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც მთელ რიგ ლაშნაშავეებს და უმთავრესად ჯარის უფროსებს მიუსაჯა დახვრეტა. უფროსი აფიცრები, რომლებიც ტყვეობას გადარჩნენ, სამსახურიდან გადააყენეს.

**იტალიის შინაური მდგომარეობა.**

**რომი**, აგვ. 6. რადიკალმა კერარდმა დეპუტატთა პალატაში იტალიის შინაურ მდგომარეობის შესახებ შემდეგი განცხადება გააკეთა: სახელმწიფოში ძლიერდება ანარქისტული და ინტერნაციონალური იდეები, რასაც თან ახლავს აქტიური გამოსვლებიც. ასეთი მდგომარეობა აუარესებს იტალიის ფინანსიურ მდგომარეობას და უცხოელების თვალში მის სახელს სცემს. იმ სახელმწიფოებში, სადაც შედარებით იტალიასთან, კლასიურ წინააღმდეგობას უფრო მეტად აქვს ფეხი მოდგმული, არ არის იმდენად გავრცელებული ანარქია და ისე დაჟესტებული მამულიშვილური გრძნობა, როგორც იტალიაში. რუსეთის მაქსიმალისტებმაც კი, თავის მუშები მოაშწყვდიეს რკინის დისციპლინის ჩარჩოებში. თვით საბჭოთა სახელმწიფო უეჭველად გაძლიერდება მამულიშვილური გრძნობით და თანდათანობით დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაიქმნება.

**საბოლოო გადაწყვეტილება მოსკოვის მთავრობის შესახებ.**

**პარიზი**, აგვისტოს 8. „ეკლერი“ იუწყება: მოკავშირეებმა მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება მოსკოვის მთავრობის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამიერიდან ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის ხალხის გონიერებაზეო. ამ ხალხმა უნდა ანგარიში გაუწიოს მდგომარეობის სერიოზულობას. პოლონეთი მოკავშირეების მხრივ უყურადღებოდ არ იქნება დატოვებულიო.

**ვრანგელის მთავრობის ცნობის გამო.**

**პარიზი**, აგვ. 8. მ. ვ. ბერნაცკიმ, საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობის შემდეგ „ტანის“ თანამშრომელს განუცხადა: ვრანგელის მთავრობა რუსეთის ერთად ერთი სასურველი მთავრობაა. ამ მთავრობამ ფორმალურად განაცხადა, რომ ის ღებულობს ყველა ვალებს და კისრულობს სათანადო ვალდებულებას უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ. საფრანგეთი უნდა დარწმუნებული იყვეს, რომ რუსეთი, როგორც კი მოიცილებს თავიდან ბოლშევიზმს დაამყარებს წესიერებას, შეუდგება საფრანგეთის კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

**მოსავალი რუსეთში.**

**ბათომი.** ნოვოროსიისკიდან მიღებულია ცნობები ცენტრალურ რუსეთში ცუდი მოსავლის შესახებ. უკეთესი მოსავალია უკრაინაში. მიღებულია ზომები უკრაინიდან და ყუბანიდან პურის ცენტრალურ რუსეთში გასატანად.

**ოსმალეთი და იტალია.**

**ბათომი.** თანახმად კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებისა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ახალი დაბრკოლება შექმნილა. დაბრკოლება გამოიწვევია კუნძულ როდოსს, რომლის ოსმალეთზე გადაცემის წინააღმდეგია იტალია. იტალიის მთავრობა მოითხოვს ამ კუნძულის ოკუპაციას. თანახმად იმავე ცნობებისა, ამის შესახებ ლოიდ ჯორჯს იტალიის მთავრობისათვის ოფიციალურ შეკითხვით მიუმართავს.

**სამსახურში უყურადღებობისათვის.**

**ბათომი.** აგვ. 16. საბჭოთა გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა პლეხანოვის სადგურზე მატარებლის დამსხვრევის დამნაშავეთა გასამართლების შესახებ. ამ კატასტროფამ იმსხვერპლა 266 კაცი. მათში 109 კაცი მოკვდა, დანარჩენი დაიჭრა, და სამუდამოთ დასახიჩრდა. ტრიბუნალმა ბრალდებულთ მიუსაჯა სამსახურში უყურადღებობისათვის უვადო სავალდებულო სამუშაო.

**ამერიკის დამოუკიდებლობის დღესასწაული.**

**პარიზი.** აგვ. 1. საფრანგეთში დიდი ამბით იდღესასწაულეს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე. ფოშმა მისალმების სიტყვაში სთქვა, რომ საფრანგეთი და მისი ჯარი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებს ამერიკის გმირებს, საფრან. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ. ამერიკ. გულში სცოცხლობს დიდი ვაშინგტონი. დღე, ვიყვეთ ძმებად და ერთგულ მეგობრებად მშვიდობიან დროის აღმშენებლობაში. საფრანგეთი და ამერიკა მოკლებული არიან დაპყრობით პოლიტიკას. ისინი ზიზღით უყურებენ ამას და უნდათ თავისუფალი ცხოვრება ყველასათვის ამ დღესასწაულის გამ გამოქვეყნდა მილიერანისადმი მიწერილი შემდეგი წერილი საფრანგეთის დემოკრატია უერთდება ბრიტანეთის დემოკრატიას რათა შეერთებულად მიესალმოს ვაშინტონს და ამერიკის დემოკრატიას.

## ბათომი

**სასურსათო ბარათების შემოწმება**

ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაკრა: ვინაიდან სასურსათო ბარათებით ზოგიერთები ბოროტ-მოქმედებას სჩადიან, ამიტომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მცხოვრებთა ინტერესების დაცვის მიზნით ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა შეამოწმოს სასურსათო ბარათები. ყოველი მოქალაქე ვალდებულია ბარათების შესამოწმებლად გამოცხადდეს იმ ფურნეში, საიდანაც პურს ღებულობს. შემდეგში მოქალაქეთ პური მხოლოდ შემოწმებული ბარათებით მიეცემათ.

**ხახჯელთა შემსუბუქება.**

თანახმად ამნისტიის კანონისა, ყველა პატიმარს, რომელსაც მისჯილი აქვს კატორღა ან და ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი სასჯელი სანახევროდ შეუმცირდებათ.

**შავი ქვის უკეთ გატანისათვის.**

შავი ქვის საქმის უკეთ გატანის მოსაწყობად შავი ქვისათვის ახალი მოედანი გააკეთეს, საიდანაც პირდაპირ დაიტვირთება უცხოეთის საკვანო გემები.

## ახალი ამბები

**მეორე სახელმწიფო სათათბიროს** ყოფილი დეპუტატის ნიკოლოზ კაციაშვილის გარდაცვალებიდან წლინახევრის შესრულების გამო სოფ. გომში (სადგ. კასპიდან 2 ვერსზე) მკათათვის 19 (ახ. სტილით), ფერისცვალობის დღეს, გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდზე მოწვეულნი არიან თფილისიდან და გორის მაზრიდანაც საზოგადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, ნაცნობ-მეგობარნი, ადგილობრივი გლეხნი, პრესის წარმომადგენელნი და სხ. როგორც შევიტყეთ, პირისუფალნი, გარდაცვალებულ გლეხი—დეპუტატის მახლობელნი და ორგანიზაციებს გადაუწყვეტიათ ეს დღე ღირსეულად აღნიშნონ—დაიგან ძეგლი და მისი სახელობის სამკითხველო დაარსონ.

**მუშათა დელეგაცია.** მუშათა მაგიდამ თავის მოქმედების შესახებ ცნობები შეკრიბა. ეს ცნობები გადაეცემა მუშათა დელეგაციას, რომელიც რუსეთში მიემგზავრება. როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, მომარაგების ფონდით სარგებლობს: თფილისის-სახელმწიფო, საზოგადო, ქალაქის და კერძო წარმოებათა 27.000 მუშა და მოსამსახურე. მუშათა მაგიდა იძლევა 62.000 რაციონს. თფილისის გარდა, სხვა ქალაქებში მომარაგების ფონდი 63,000 სულს აწვდის სურსათ-სანოვაგეს. ამას გარდა მომარაგების ფონდით სარგებლობენ მთელი რესპუბლიკის რკინის გზების მუშა-მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი 17.000 უდრის, მათ ეძლევათ 85.000 რაციონი. სულ მთელ რესპუბლიკაში მომარაგების ფონდით 118.000 მუშა და მოსამსახურე სარგებლობს. სურსათ სანოვაგის გარდა მუშებს და მოსამსახურეებს 30 მილ. მან. ღირებული მანუფაქტურა მიუღიათ.

**შავი ქვის ექსპორტი.** შავი ქვის კომიტეტის გამოანგარიშებით მომავალ წელს საქართველოდან შეიძლება გატანილ იქმნას შავი ქვა არა ნაკლებ 40—45 მილიონ ფუთისა. სახელმწიფომ ფუთზე რომ მხოლოდ 35 მანეთი აიღოს, შემოვა სულ 1 მილიარდი და 400 მილიონი მანეთი.

**გზათა უწყების დეპარტამენტმა.** შეიმუშავა ცენტრალურ და რაიონულ პარიტეტულ და ტეხნიკურ კომისიათა დაარსების წესები. ამ წესების მიხედვით ცენტრსა და რაიონებში არსდება ზემოაღნიშნული კომისიები იმ მიზნით, რომ მათ განაგონ და თვალყური ადევნონ რკინის გზაზე მოსამსახურეთა მიღებას, დათხოვნის და მათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის საქმეს. ამ კომისიაში შევა ადმინისტრაციისა და მოსამსახურეთა საბჭოს წარმომადგენლები, კომისიაში იქნება 4—6 პირი.

**იმპორტი და ექსპორტი.** იტალია-კავკასიის ბანკმა სავაჭრო-სამრეწველო პალატას სთხოვა: გვაცნობეთ საქართველოს ისეთ დიდ ფირმების სიებს, რომელთაც უცხოეთში საქონელი გააქვთ და შემოაქვთ. ეს შეკითხვა გამოიწვია ნეაპოლის ერთ დიდ ფირმის განცხადებამ, რომელსაც სურს საქართველოს სამრეწველო ფირმებთან დამოკიდებულება დაიკავოს.

**გვარდიის სახლი.** სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ აგვისტოს 15, გვარდიის სახლი გახსნა, რომელშიაც მოთავსებულია თეატრი, აუდიტორია, სამკითხველო და წიგნთ-საცავი.

**მუშებისათვის სურსათ სანოვაგის მიწოდება.** შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ დამფ. კრების სოც. დემ. ფრაქციას აცნობა: მუშათა მაგიდა შეძლების და გვარად, გარდა თფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისა სურსათ-სანოვაგეს პროვინციის მუშებსა და მოსამსახურეებსაც აწვდის. კერძო მუშებს ერთდროული დახმარება მიეცა, ასეთივე დახმარება მიეცა გზატკეცილების მუშებსა და მოსამსახურეებს. ამ ჟამად მომარაგების სამინისტროს არ ყოფნის სურსათ-სანოვაგე, ამიტომ მისი წესიერად მიწოდება მუშებსა და მოსამსახურეთათვის ძლიერ გაძნელებულია.

**დაზღვევის ფონდი.** სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დაამუშავა და დამფ. კრებას გადასცა პროექტი ბანკის დასაზღვევის ფონდის მოწყობის შესახებ. განმარტების ბარათში გამგეობა აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ბანკის კომერციულ ოპერაციებზე დაზღვევის ფონდის შექმნას ექნება. თუ ბანკი შესძლებს საქონლის დიდ ოპერაციების მოწყობას, ამით იგი ბაზრის ფასებზე გავლენას მოახდენს. ამისათვის კი საჭიროა: 1) ქონდეს ბანკს საქონლის ისეთი საწყობები, რომლებიც ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან, 2) ბანკს უნდა ქონდეს შეძლება საქონლის დაზღვევისა. პირველი მიზანი უკვე მიღწეულია, ბანკს აქვს საქონლის დიდი საწყობები. უფრო რთულია მეორე საკითხი, ვინაიდან საქართველოში არსებული დამზღვევი საზოგადოებანი წარმოადგენენ მხოლოდ რუსეთის დამზღვევ საზოგადოებათა ფილიალურ განყოფილებებს. ამიერ-კავკასიის დამზღვევ საზოგადოებას კი არ აქვს საშუალება, რომ ფართო ფარგლებში აწარმოვოს საქონლის დაზღვევა. ამიტომ სახელმწიფო ბანკი საჭიროდ სთვლის მოაწყოს დამზღვევი ფონდი, რომელიც ბანკის გავლენას კიდევ უფრო გააძლიერებს. გამგეობა შუამდგომლობს დამფ. კრების წინაშე ასეთი ფონდის შესაქმნელად სათანადო თანხის გაღების შესახებ.

**სავაჭრო-სამრეწველო სესხი.** კოოპერატიული ბანკი იუწყება: სახელმწიფო ბანკის მიერ გახსნილ 5 მილ. მან. კრედიტიდან სესხი არა მარტო საკრედიტო, არამედ კოოპერატიულ დაწესებულებასაც მიეცემათ. სესხი სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების განსავითარებლად მიეცემათ.

**სასოფლო-სამეურნეო რეფორმა.** თელავის სამაზრო ერობამ მიწათ მოქმედების სამინისტროს დასამტკიცებლად წარმოუდგინა პროექტები საფონდო მიწების დანაწილებისა რუისპირის უბანში (იყალთოს რაიონი) და სოფ. ურიათუბანში (ამავე რაიონისა). თანახმად ამ პროექტისა სოფ. ურიათუბანში დანაწილებულია 307 დეს., რომელიც შეფასებულია 756,757 მანეთად, ხოლო რუისპირში 735 დესეტინა, რომელიც შეფასებულია 1,531,289 მანეთად. სოფელ ურიათუბანში დაკმაყოფილებულია 333 მთხოვნელი, ხოლო რუისპირში 313. მიწათ-მოქმედების მინისტრმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონა და დაამტკიცა.

**საკრედიტო საქმის რეფორმა.** საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ იმ საკრედიტო დაწესებულებათა იძულებითი წესით ლიკვიდაციის შესახებ, რომელთა მოქმედებაც რესპუბლიკისათვის საზარალოა ფინანსთა მინისტრს სათანადო მოხსენება წარუდგინა. გამგეობის აზრით ბანკის ძველ აპარატს, თუ იგი არ შეიცვალა ძირიანად, რესპუბლიკისათვის მართლაც დიდი ზარალის მოტანა შეუძლია. გამგეობა აღნიშნავს, რომ საკრედიტო საქმე მით უფრო უარესდება, რომ ზოგიერთი პირი წინასწარ განზრახულ სპეკულიაციის მიზნით უსახელო საბანკო კანტორებს ხსნიან. გამგეობა აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთმა გარემოებამ აიძულა საქართველოს მთავრობა მიეღო გადაწყვეტილება ასეთ დაწესებულებათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამასთანავე გამგეობა მიუთითებს სამინისტროს არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა დაცვის საჭიროებაზე. მაგრამ საჭიროა საქმეებში გარკვეული ხაზი. ყველა ბანკმა უნდა იმოქმედოს თანახმად ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამისა. ფინანსთა სამინისტრომ საკრედიტო დაწესებულებებზე სასტიკი კონტროლი უნდა დააწესოს. კავშირი თავის მხრივ ფინანსთა სამინისტროს ამ საქმეში დახმარებას პირდება.

**კლუბებში, რესტორანებში, სასტუმროებში და სხვ.** მოსამსახურეების კავშირის გამგეობა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 20 მარიამობისთვეს მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხ. პრ. № 123) დანიშნულია ამავე კავშირის წევრთა საზოგადო კრება, დილის 9 საათზე, და თუ კრება არ შესდგა, მეორე კრება დანიშნულია იმავე დღეს 11 საათზე და ის კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო წიგნაკები; დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება: 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) 6 თვის ანგარიშის დამტკიცება; 4) საწევრო გადასახადის გადიდება; 5) კავშირის ინვენტარის შესახებ; 6) დამატებითი არჩევნები გამგეობაში; 7) საავადმყოფო კასის შესახებ; 8) მიმდინარე საკითხები.

**სატარიფო პალატამ** ახალი მომატების გამო ჯამაგირების მომატების ახალი ცხრილი შეადგინა.

**ახალი რადიო სადგური** სააქციონერო საზოგადოება „ევრაზიამ“ შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს წინაშე, მას ნება მიეცეს თფილისში დიდი რადიო-სადგურის გაკეთებისა.

**ჯარში მობილიზაციით გაწვეულთა შესახებ** სატარიფო პალატამ დაადგინა: მიეცეთ მათ, როგორც ჯამაგირის ნახევარი, აგრეთვე იმ 25%, ნახევარი, რომელიც მათ სურსათის სამაგიეროთ ეძლეოდათ 25% ნახევარს მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ოჯახი ყავთ.

**სომეხთა სახალხო პარტიის ყრილობა** შესდგება ერევანში 12 სექტემბერს. ყრილობას დაესწრებიან პარტიის წარმომადგენლები საქართველოდან და აზერბეიჯანიდან.

**ხორბლით დატვირთული ვაგონები.** მიწად მოქმედების მინისტრმა წინადადება მისცა რკინის გზის დეპარტამენტს სპეკულიაციასთან ბრძოლისა და უცხოეთში ხორბლის გატანის აკრძალვის მიზნით გამოსცეს ბრძანება, რომ ამიერიდან რკინის გზას ადგილობრივმა სადგურებმა მიიღონ, ან გაგზავნონ იმდენი ხორბალი, რამდენიც მომარაგების სამინისტროდან იქნება ნებადართული.

**ხახალხო რაჭის მაზრაში.** საბჭოს ნაწილის გამგე ვ. მ. მიქაძე რაჭაში მიემგზავრება მამისონის უღელტეხილზე და მაზრის სხვა ადგილებში საბჭოების მოსაწყობად.

**აფხაზეთის გზების შეკეთება.** აფხაზეთის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მას გადაეცეს აფხაზეთის შარა-გზების შესაკეთებლად გადადებული თანხა. გზათა უწყების დეპარტამენტი ამის საპასუხოდ აუწყებს აფხაზეთის კომისარიატს: რომ, სამწუხაროდ, დეპარტამენტი საშუალებას მოკლებულია დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება. გზათა უწყების დეპარტამენტს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია რომ აფხაზეთის კომისარიატმა გზათა კეთებას კონტროლი გაუწიოს. შარა-გზების სამმართველო აცნობებს აფხაზეთის კომისარიატს რამდენი თანხაა გადადებული შარა-გზების შესაკეთებლად და როგორი სამუშაო უნდა იქნას შესრულებული. თუ კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები შეამჩნევენ გზათა კეთებაში სინელეს, ეს მათ გზათა სამმართველოს უნდა აცნობონ, რაც გაადვილებს და დააჩქარებს მუშაობას. ამის გარდა გზათა კეთებას უნდა დაეხმაროს კომისარიატი მუშა ხელისა და საჭირო მასალის მოწოდებით. გზათა უწყების დეპარტამენტმა აცნობა ეს კომისარიატს და სთხოვა შეატყობინონ მას აფხაზეთის კომისარიატი თანახმაა თუ არა ამ პირობით გზების კეთებაში მონაწილეობის მიღებისა, (დ. ს.)

**მე-6-ე რაიონული კოლექტივი** აცხადებს თავის რაიონის გაზეთის ხელმომწერლების საყურადღებოთ, რომ ყველა, ვისაც რამე პრეტენზიები აქვს გაზეთების მიღებაზე ან სხვა რამე გამოცხადდეს კოლექტივის ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22) საქმის გამოსარკვევად. დილით 10 ს.—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

**ქუთაისის სამაზრო მილიციის** უფროსის ირაკლი ახვლედიანის ხელმძღვანელობით სოფ. ზარათში 17 აგვისტოს მოკლეს ცნობილ ყაჩაღის მორჩაძის ერთი ამხანაგთაგანი სირბილაძე, ხოლო ორი მისი ამხანაგი გაიქცა და მათ დასაჭერად მკაცრი ზომებია მიღებული. ორი დღეა იმერეთში წვიმები დაიწყო და გვალვისაგან გაფუჭებული ყანები გამოაცოცხლა და ხალხს იმედი გაუღვიძა კარგი მოსავლისა.

**სტუდენტთა კოოპერატივი** გადავიდა ახალ ბინაზე რუსთაველ. პროს. № 40 მაღაზია ღიაა 8—4 საათამდე.

**შემოწირულება ფრონტის სასარგებლოდ.** სამხედრო კომისიის თავმჯდომარის სახელზედ ფრონტის სასარგებლოდ მოსულია შემდეგი შემოწირულებანი: ქალ. სოხუმის ქართულ გიმნაზიის საბჭოსაგან 100.000 მან., ქალ. სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 5.100 მან., ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკისაგან—10.000 მან., ფულით შემოწირულების რაოდენობა უდრის 115.100 მანეთი. ამას გარდა სოხუმის ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან შემოწირულია 65 გირვანქა საუკეთესო ხარისხის თამბაქო. შემოწირულ თანხით სამხედრო კომისიამ ფრონტის მთავარ დამხმარე კომიტეტისაგან შეიძინა შემდეგი ნივთები: კონვერტი—1.8000 ცალი, ფოსტის ქაღალდი—1 800 ცალი, ფანქარი—1.120 ცალი, პაპიროსის ქაღალდი—2.620 ცალი, ნემსები—5 პაჩკა, ჩაი 331/2 გირვანქა, ნესესერი—25 ცალი, ასანთი—2.600 კოლოფი, პაპიროსი—2.120 ცალი, ხელის საპონი—70 ცალი, სარეცხის საპონი—24 ფუთი, წეკო (მახორკა) 1 ფუთი, თამბაქო 5 ფუთი, და ლიტერატურა 1 დიდი ტომარა. აღნიშნულ ნივთებიდან დამზადდა 2.290 კომპლექტი საჩუქარი, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა და წევრმა ერმ. კალაძემ, სამხედრო კომისიის სახელით, დაურიგეს მე 7 რაზმის ჯარისკაცებს და ოფიცრებს, საერთო რიცხვით, 2.290 კაცს. სამხედრო კომისია ყველა შემომწირველთ ღრმა მადლობას სწირავს.

**გურჯაანიდან შემდეგი დეპეშა** მივიღეთ: 15 მარიამობისთვეს სოფელ ბაკურციხის თემის გამგეობის ინიციატივით შესდგა პირველი შეერთებული კრება დავით ვაჩნაძის თავმჯდომარეობით კახელ და იმერელ მომიჯნე სოფლების წარმომადგენლებისა ალაზან გაღმა მაწულების გაყოფის და საბოლოო მიჯნის დადების შესახებ. ამ ფრიად მნიშვნელოვან კრებას მრავალი ხალხი დაესწრო და დიდის კმაყოფილებით შეხვდა ამ მშვიდობიან შეხვედრას. ორი ძველ მოდავე მეზობლების კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო აღნიშნული საქმის მორიგებით დამთავრება. მუნჯიშვილი.

**მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი** დაბრუნდა მოგზაურობიდან. გუნდმა მოიარა იმერეთი, ქართლი, გურია, სამეგრელო. ყველგან ხალხი მრავლად ესწრებოდა. გუნდს ბევრი დაბრკოლებანი შეხვდა რკინის გზებზედ. ეხლა გუნდი აპირებს კახეთში გამგზავრებას.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ ჩვენს გაზეთში დამფუძნებელი კრების ანგარიშში დაბეჭდილია შემდეგი სათაურით: „დამფუძნებელი კრების კომისიებში“ უნდა იყოს: **დამფუძნებელი კრება.** სწერია: ვინც იღებდა პირველ აგვისტომდე 4000 მანეთზე მეტს, ემატება 50%, უნდა იყოს: ვინც იღებდა 4500 მან. მეტს და სხვა.

**კრებები.**

ხუთშაბათს, 19 აგვისტოს საღ. 6 ს. დანიშნულია პირველი რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 19 აგვისტოს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, 19 აგვისტოს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 19 აგვისტოს საღ. 6 ს. კოლექტივის ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშნულია მორიგი სხდომა ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრებისა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ბოსლევის** თემის ფარგლებში დაარსებულია მთავრობის ნებართვით ბაზრობა „იარმუკა“. ბაზრობა გაიმართება ყოველ კვირაობით. იქნება ყიდვა-გაყიდვა პირუტყვის, ხე-ტყის, უმეტესათ შეშის, პურის, კრამიტის, აგურის და სხვ. და სხვ. იარმუკის გახსნისა და პირველ სავაჭრო დღეთ დანიშნულია ამა აგვისტოს 15 რიცხვი, ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ცნობა. ბოსლევის თემის გამგეობა.

— **ქ. ახალსენაკში** ამ დღეებში გაიხსნება სამაზრო ერობის წიგნის მაღაზია რომლისთვის გადადებულია პირველ ხანად ½ მილ. მ. ერობის გამგეობა სთხოვს გამომცემელთ და წიგნის საწყობის გამგეთ, მოგვაწოდონ სანიმუშოთ ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოები ძველი და ახალი ან გაუგზავნონ კატალოგები. მისამართი: თფილისში ერობის რწმუნებულ ალექსანდრე კინწურაშვილთან „ჩრდილოეთის ნომრები“ № 23. ქ. ახალსენაკში ერობის გამგეობას, განათლების განყოფილებისათვის.

**ქ. ზესტაფონი.** 19 აგვისტოს ადგილობრივ სოციალ სახალხო გვარდიის შტაბი ამავე შტაბის თავისუფალი ფონდის გასაძლიერებლად ა. არაბიძის ეზოში მართავს გრანდიოზულ საღამოს. საღამო მეტად შინაარსიანია: ლიტერატურულ-დრამატიულ ვოკალურ განყოფილებით. მოწვეულნი არიან თფილისელი და ადგილობრივი ძალები. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯუღელი (წაიკითხავს მოხსენებას); ნ. კალანდაძე (ეშმაკა), გ. ქუჩიშვილი და გ. ტაბიძე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებიდან. ადგილობრივი ძალების დახმარებით სცენაზე დაიდგმება 2 მოქმედებიანი პიესა-ვოდევილი. ვოკალურ განყოფილებაში მოწვეულია მომღერალი ანდრო კავსაძე. დანიშნულება საღამოსი მეტად სიმპატიურია. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოება გულღიათ შეხვდება ამ საღამოს და არ დაიშურებს თავის წვლილს.

## უცხოეთი

**უნგრეთი.**

**ბოიკოტი სოციალისტების დღეების გამო.** „ფორვერცი“-ის 25 ივნისის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა ვენიდან: „ავსტრიის კანცლერის დ-რ რენნერსა და უნგრეთის ელჩს ვენაში, ბოიკოტის დაწყების წინ მოლაპარაკების დროს, დაებადათ აზრი, რომ ავსტრიის კანცლერი შუამავლობას იკისრებს უნგრეთის მთავრობის და პროფესიონალურ კავშირთა ინტერნაციონალის შესარიგებლად. უნგრეთის ელჩმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა ყველა საჭირო განმარტებანი მისცეს შრომის ინტერნაციონალს. შაბათს საღამოთი ამ ტერრადამიდან ჩამოვა პროფეს. კავშირების საერთაშორისო ბიუროს 3 დელეგატი, რომელნიც ორშაბათს უნგრეთის მთავრობას შეხვდებიან“. ამ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, 29 ივნისს „ჰუმანიტე“-ში შემდეგი იყო დაბეჭდილი: კვირას რენნერის თავმჯდომარეობით დაიწყეს მოლაპარაკება უნგრეთის მთავრობასა და პროფეს. კავშირთა საერთაშორისო ბიუროს შორის. მოლაპარაკების შედეგი რენნერმა ოფიციალურად აუწყა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებს. „დეილი ჰერალდ“-ს ვენიდან აუწყეს, რომ ამ მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. უნგრეთის ელჩი კატეგორიულად უარყოფს უნგრეთში თეთრი ტერრორის გამეფებას.

ბიუროს დელეგატებმა ულტიმატიურათ მოსთხოვეს უნგრეთს მუშებისათვის ყველა თავისუფლებათა მინიჭება. უნგრეთის მთავრობამ ამაზე ორშაბათს საღამოთი უნდა გასცეს პასუხი.

გაზეთების ცნობით, უნგრეთის ბოიკოტი ენერგიულათ ხორციელდება.

„ფორვერც“-ის მოყავს ჩეხელ სოც.-დემ. დეპუტატის სტავინის განცხადება: სინამდვილეს არ შეეფერება ის ცნობა, ვითომ ბუდაპეშტსა და ბერლინის შორის სატელეგრაფო ურთიერთობა პრაგას საშუალებით სწარმოებდეს. უნგრეთის მთავრობამ ორჯერ სთხოვა ჩეხო-სლოვაკიის ბეჭდვითი ბიუროს, რომ დაეშვათ დეპეშების გადაცემა პრაგაზე, მაგრამ ორჯერვე უარი მიიღეს.

მთელ ჩეხო-სლოვაკიაში სავსებით ტარდება გამოცხადებული ბოიკოტი. ასევეა ავსტრიაში. გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ერთხელ: ავსტრიამ თავის მიწაწყალზე უნგრეთის ბავშვებისა და მცხოვრებთა ულარიბესი ნაწილისათვის გაატარა ფქვილი, რომელიც ამერიკის დამხმარე კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ განაწილდა. „ჰუმანიტე“-ს 2 ივლისს ვენიდან აუწყებდნენ, რომ ავსტრიის მთავრობამ სრულიად შესწყვიტა მატარებლების მიმოსვლა უნგრეთთან, რათა მოესპო ინციდენტები ბოიკოტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ვენურ „სახალხო გაზეთს“ 4 ივლისს აუწყებდნენ, რომ უნგრეთის მთავრობამ ბოიკოტის გავლენით, რომელმაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენა, გადასწყვიტა დათმობაზე წავიდეს და მომავალში ტერრორი სრულიად მოსპოს.

**საფრანგეთი.**

**„რევოლიუციონური კაზუისტიკა“.** ამ სათაურით „ფორვერცს“ ში დაბეჭდილია წერილი საფრანგეთის ოპორტიუნისტების მერყეობაზე ინტერნაციონალის საკითხებში. „ფრაიჰაიტ“-ის ცნობით მე-3 ე ინტერნაციონალზე საფრანგეთის დაშვების შესახებ მოსკოვში მოსალაპარაკებლათ გამგზავრებულმა დელეგატებმა „იუმანიტე“ ეს დეპეშით აუწყებს, რომ ამისთვის ბოლშევიკები მოითხოვენ საფრანგეთის სოციალისტებმა საბოლოოთ ხელი აიღონ მე-4-ე ინტერნაციონალის მოწვევის აზრზე და დაამტკიცონ, რომ ისინი გულწრფელი მომხრენი არიან პროლეტარიატის დიქტატურის. „ფრაი ჰაიტ“-ის სიტყვით, ამაზე „ჰუმანიტე“ შენიშნავს: „ეს ალბათ გაუგებრობაა, ვინაიდან არავინ არა დროს არ ფიქრობდა სერიოზულად მე 4 ე ინტერნაციონალის მოწვევაზე.“ ამ შენიშვნას იუსტიკის მეტი არაფერი დაერქმევა. თუ მართლაცარავინ ფიქრობდა მე-4 ე ინტერნაცინალის მოწვევაზე, მაშინ რა აზრი ჰქონდა მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლას, ისე, რომ ყოველ პირობის გარეშე შევიდნენ მაშინვე მე-3 ინტერნაციონალში. თუ ეს ასეა, მაშინ რათ მოხდა, რომ ლაიპციგში უარჰყვეს შტეკერის რეზოლიუცია (დამოუკიდებელთა ყრილობაზე) და ლორიოს რეზოლიუცია სტრასბურგში (საფრანგეთის სოციალისტების ყრილობაზე) რომლებიც მოითხოვდნენ ყოველ პირობის გარეშე, მე-3 ინტერნაციონალში დაუყონებლივ შესვლას. და მართლაც დამოუკიდებელთა ცენტრ. კომიტეტი და აგრეთვე „ინტერნაციონალის აღმდგენი კომიტეტი“, რომელსაც სათავეში კაშენი და ფროსარი უდგანან და რომელსაც იგივე „იუმანიტე“ ემსახურება, თავისი პოზიციის აზრს იმაში ხედავდენ, რომ, თუ მოსკოველი მაღალი პირონებანი ყოვლად შეუძლებელ პირობებს დაუყენებენ საფრანგეთის სოციალისტებს და დამოუკიდებლებს მე 3 ინტერნაციონალში შესასვლელათ (ამას სხვათა შორის მოელოდენ კიდევაც) მაშინ ეცდებოდენ, ინტერნაციონალის ყველა რევოლუციონური სექციები გაერთიანებით იქეთ ახალ ორგანიზაციაში, რომელიც თუ უარჰყოფდა სოციალისტების მონაწილეობას კოალიციონურ მთავრობებში და რომელიც „წმინდა კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე“ იდგებოდა. ეხლა კი აცხადებენ ამაზე სერიოზულათ არა დროს ლაპარაკიც კი არა ყოფილაო. მეორე ინტერნაციონალიდან გასულ პარტიების კომედია არის დაშინებულ ხალხის მიერ თავისი საკუთარ აზრების და გეგმების დამალვა, რომელიმე ზინოვიევის გაჯავრებულ სახის გამომეტყველების დანახვისთანავე, რაც ზიზღის მეტს არ იწვევს“.

## ს. დ.-პარტიაში

**რაჭა.** რევოლიუციის პირველ წელს არ დარჩენილა არც ერთი კუთხე რაჭაში, რომ ს. დ. ორგანიზაცია არ დაარსებულიყოს. ყველგან გაჩაღებული იყო პარტიული მუშაობა. მხოლოდ შემდეგ თანდათან მიინელდა პარტიული მუშაობა. ლეჩხუმის ანარქიის დროს ბევრგან ორგანიზაციები დაიშალა და მას შემდეგ უკან მიდის საქმე. არც მაშინ ვიყავით მდიდარი—მომზადებული პარტიული მუშაკებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ასეთი კრიზისი არ იყო მათი, როგორც დღეს ვინც გვყავდა მომზადებული ამხანაგები ისინიც ზოგი სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობის საქმემ ჩამოაშორა. ბევრმა მიივიწყა პარტიული საქმე. დღეს რაჭაში ბევრ ალაგას ორგანიზაციები არ არსებობენ და არსებულ ორგანიზ. არსებობა (მცირე გამონაკლისს გარდა) არსებობათ არ ჩაითვლება, რადგანაც ყოველ მხრივ მოისუსტებენ. აუცილებლათ საჭიროთ უნდა მიაქციოს ყურადღება ცეკამ და აქაურ ორგანიზაციებს გაუწიოს დახმარება, როგორც მატერიალურ, უფრო კი მომზადებული ამხანაგების გამოგზავნით საჭიროა მუდმივი მომუშავენი ორგანიზაციებში. მით უმეტეს ახლა, როცა ბოლშევიკები „ლეგალიზაციის“ შემდეგ აქაც მიმართავენ ისინი ზრახვიან პროვოკაციას და ჩვენც მზად უნდა ვიყვეთ ყოველ მხრივ.

ილ—ძონ.

## მუშათა შორის

**ბათომი.** რკინის გზის ხაზზე მუშა-მოსამსახურეთა შორის პირობები მეტად უნუგეშოა.

იმ მცირე ჯამაგირებით, რომელსაც ვღებულობთ, ყოვლათ შეუძლებელია ადამიანმა იარსებოს ბ თომში და ისიც ცოლშვილიანებმა.

სიტყვით გვეძლევა სულზე 1 გირ. ვანქა პური 3 მან. მაგრამ სინამდვილეში არა. არის დღეები როცა სრულიად არ ცხვება პური; ხან არის, მაგრამ უვარგისის როგორც იყო 3 და 4 აგვისტოს, რის დარიგების ნება ექიმმა არ დართო. როცა არის პური, მაშინ 1 გირ. ნაცვლად იძლევიან სულზე ნახევარ გირვანქას. ამ რიგათ, გვამადლიან ამ პურს და ვრჩებით ამ პურის მიზეზით უპუროთაც და უჯამაგიროთაც და რაც ჯამაგირი გვაქვს, ის კერძო ფურნეებში მიდის პურის ფულათ. ტანზე და ფეხზე რაიმეს ყიდვას აბა ვინ იფიქრებს: უბრალო ჩითი 300 მ. ფასობს არშინი. შაქარზე და სხვა საჭირო სანოვაგეზე ხომ ზედ მეტია ლაპარაკიც. გავიდა 5 თვე და რკინის გზის დუქნიდან 20 კოლოფი სპიჩკა გვაქვს მიღებული.

ბინების მხრით ხომ მთლათ უბედური შევიქენით: საქონლის ვაგონებში გვიხდება ცხოვრება ცოლშვილით, სადაც დიდ გაჭირვებას განვიცდით. ყოველივე ეს და სხვა მრავალი დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშა-მოსამსახურეებში. ამბობენ ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს ჯამაგირების მომატება, მაგრამ როცა დაპირება მუშათა მაგიდისა არ სრულდება და ჩვენ ყველაფრის ყიდვა ბაზარზე გვიხდება, ამას უნდა გაეწიოს ანგარიში და მოგვცენ იმდენი ჯამაგირი რაც ბაზარს შეეფერება აუცილებელ საყიდლებისათვის.

მდგომარეობა მეტად სერიოზულია. დღეს, 15 აგვ. როცა ეს წერილი დავსწერე, რკინის გზის ფურნეებში პური არ ყოფილა. ამბობენ, რამდენიმე დღეს არ იქნებაო. ამ რიგათ, გვიხდება კერძო ფურნეებში ყიდვა გირვანქის 60 მანეთად. სამ სულიანმა უნდა იყიდოს 3 გირ. პური 180 მან. ჯამაგირი კი არ აღემატება დღიურათ 120 მან. რა უნდა ჰქნან წვრილ-შვილიანებმა; ასეთია მდგომარეობა.

ყოველივე ამას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება: ან უნდა შესძლონ სურსათით დაკმაყოფილება ან და უნდა მოხდეს ჯამაგირების მომატება შედარებით ისე, რასაც ბაზარი თხოულობს ორში ერთი საჭიროთ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, თორემ ჩვენ დავდგებით არა სასურველი ფაქტის წინაშე.

შ. ოფონიეშვილი.

---

**ავლაბრის მუშათა კლუბში.**

16 აგვისტოს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის მორიგი სხდომა იოს. ხუციშვილის თავმჯდომარეობით.

კარლინსკის ელექტრონის სადგურის

წყალობით განათება თავ-თავის დროზე არა აქვს არც მუშათა კლუბს და არც სახალხო უნივერსიტეტს, რომლის შესახებაც არჩეულ იყო კომისია ქალაქის თავთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ დაბრკოლება ვერ იქნა თავიდან მოშორებული. გამგეობა აღნიშნავს, რომ ავლაბარს, რომელსაც ქალაქის დიდი ადგილი უკავია როგორც რაიონს, ყურადღებას არ აქცევს ცენტრი. ამიტომ გამგეობა ირჩევს განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც ევალება საფუძვლიანად მოელაპარაკოს ქალაქის თავს.

კლუბის ქონების რეგისტრაციის შესახებ გამგეობა ადგენს: მოხდეს ქონების რეგისტრაცია ინვენტარის განაწილების მიხედვით. რაც ნივთები სჭირდება სახალხო უნივერსიტეტს, მიეცეს მას აღწერილობით; კლუბის რომელსამე დაწესებულებას თუ დასჭირდეს ნივთები, მაგ. როგორც არის თეატრი, ლოტო, ბილიარდი და სხვა, ყველა ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელმა—გამგემ უნდა წერილობითი მოთხოვნილება წარმოადგინონ გამგეობაში, შემდეგ ამისა გამგეობის დადასტურებით იქნეს გაწერილი თითეული ნივთი, დანარჩენი ნივთები რაც მუდმივ ხმარებაში არ იქნება, შენახული იქნეს არხივში, რომლის რაოდენობა უნდა ეიწეროს საინვენტარო წიგნებში.

გამგეობამ ქონების მუდმივ გამგეთ დაიჭირავა ამხ. ვ. კაპანაძე და გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, გაანთავისუფლონ ამხ. ვ. კაპანაძე.

გამგეობამ განიხილა წერილობითი განცხადებები, ზოგი მათგანი გადაეცა პრეზიდიუმს, რაც შეეხება მომღერალთა ჯგუფის განცხადებას, ამის შესახებ გამგეობას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: მომავალ კრებაზე გამოცხადდეს ჯგუფის ხელმძღვანელი ან. გელოვანი და შეუთანხმდეს გამგეობას, თუ ვისი ხელმძღვანელობით არის დასაშვები მომღერალთა გუნდის მოწყობა.

საზოგადო კრება უნდა მოწვეულ იქნეს სექტემბერში.

აკ. ხუციშვილი, რომელიც გამგეობის თავმჯდომარეს დროებით მოუხსნია თავის თანამდებობიდან ს. სულთანიშვილს პრეტენზიებისა გამო, დაუყონებლივ დაბრუნებულ იქნეს თავის ადგილზე.

სატარიფო პალატის დადგენილება გადაეცა პრეზიდიუმს განსახილველად.

გამგეობა მადლობას უცხადებს რესტორან „ამირანის“ პატრონს, სადაც 1 აგვისტოს გამართული იყო საღამო მუშათა კლუბის სასარგებლოდ და რომლის შემოსავლიდან მუშათა კლუბს დარჩა 40,100 მანეთი გამგეობამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც კლუბის მოსამსახურეთ 1 აგვისტოდან ემატება ჯამაგირები. **ვერხვი.**

—

**საბურთალო.** 8 აგვისტოს საბურთალოს კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოდ გამართულ სეირნობიდან შემოვიდა: 1) ლატარია ალეგრიდან—33,253 მან., 2) ბუფეტიდან (წმინდა შემოსავალი)—34,580 მან., 3) ლოტო, პტიშვო დ პატარა ბუფეტიდან—12,526 მან.

სულ შემოსავალი—80,359 მან.
საღამოს მოწყობაზე დაიხარჯა 7,821 მან.
დარჩა წმინდა შემოსავალი—72,032 მან.

საბურთალოს მუშათა კლუბის გამგეობის სახელით მადლობას უძღვნი საღამოს დიასახლისს ოლღა სვიმონის ასულს სვანიშვილისას, რომელმაც დიდი შრომა გასწია საღამოს მოწყობაში და ყველა იმ პირთ, რომელთაც ამა თუ იმ სახით ხელი შეუწყვეს ამ საღამოს სასურველათ ჩატარებას.

გამგეობის თავმჯდომარე **ლ. ბაქრაძე.**

## პროვინცია

**დამფუძ. კრების წევრი ის. რამიშვილი ქართლში.**

**შინდისი.** 16 ივლისს ის. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება შინდისის სათემოში, რომელშიაც შედის 14 სოფლამდე. ზოგიერთ შორეულ სოფლებიდანაც იყვნენ მოსული წარმომადგენლები; მდაბიო ენით მოხსენებელმა გააცნო კრებას მთელი სამი წლის ნამუშევარი საქართველოს დემოკრატიისა. იმ დროს, როდესაც ჩვენ გარშემო ყველაფერს ანგრევენ, საქართველოს დემოკრატიამ შესძლო ეწარმოებია აღმშენებლობითი მუშაობა. ბათომის ჩაბარების აღწერის დროს ხშირად ისმოდა ტაში და „გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოსო.“ მოხსენების შემდეგ გაიმართა ბაასი ადგილობრივ საკითხებზე. მთელ სოფელში ათი სასწავლებელია (1500 კომლი), უნდა დაარსდეს კიდევ ენკენისთვიდან ხუთი. მეხილეობა ძალიან გავრცელებულია; მიწის კომისია ვერ მუშაობდა კარგათ, ეხლა კი საქმე გამოკეთდა. მიწების დარიგება არ დაწყებულა. რამდენიმე გლეხებსაც ჩამოერთმევა მიწები. თავად-აზნაურობას არ გაუწევია წინააღმდეგობა მიწების ჩამორთმევის დროს. თემის გამგეობამ გახსნა სახერხავი ქარხანა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „შინდისის სათემოს მცხოვრებნი, შეიკრიბენ რა დამფუძნებელი კრების წევრის ის. რამიშვილის მოხსენების მოსასმენად და თავისი მდგომარეობის მისდამი გასაცნობად, მიესალმება დამფუძნებელი კრების და მის მიერ არჩეულ მთავრობის ყოველივე ნაბიჯს, გადადგმულს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვულოცავთ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას და მთელს ჩვენ დემოკრატიას ბრწყინვალე გამარჯვებას როგორც გარეშე, ისე შინაურ პოლიტიკაში. უბათომოდ ჩვენი სამშობლო იქნებოდა სახლი უკაროთ. სალამი ჩვენს გვარდიას და ჯარს, რომლებმაც თავისი გმირული ბრძოლით და რკინის ენერგიის გამოჩენით გახსნეს ფანჯარა, საიდანაც შემოაშუქებს ჩვენში დასავლეთი ევროპის კულტურის სხივები. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“!

**დირბი.** აქედან რამიშვილი გაემგზავრა დირბის სათემოში, სადაც 17 ივლისს გააკეთა იგივე მოხსენება. ამხ. რამიშვილს აქ დიდი ზეიმით შეხვდენ. მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. რამიშვილის შემდეგ ილაპარაკა სხვა ორატორებმაც. შეკითხვები უმთავრესათ ეხებოდა მიწის საკითხს, რომელზედაც დაწვრილებით ილაპარაკა ედიბერიძემ. კერძო მემამულეები, როგორც გამოირკვა, დიდ ლალას ახდევინებდენ გლეხებს. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა მიწების გამცემთა და ამღებთა შორის. შინდისის მიწები უმეტეს ნაწილად ურწყავია. ყოფილა შემთხვევა, რომ ორი ნორმა მიუციათ უსამართლოდ მემამულესათვის, მაგრამ ეხლა მეორე კომისია ასწორებს ამ საქმეს. ყრილობას დაესწრო აყარებული ოსობა, რომლებმაც დელეგაცია მიუგზავნეს რამიშვილს. ისინი სჩიოდენ, რომ ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა ოსეთის აჯანყებაში და არც მთავრობა გვწამებს ამასო, მაგრამ ჩვენთან მოდიან გვარდიელების და მილიციის ფორმაში და გვართმევენ ყველაფერსო. „თქვენ მაინც უნდა გადასახლდეთ აქედან და რათ გინდათ რამეო“. ასეთი ყოფაქცევა ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებისა დაადასტურა თემის გამგეობამაც. ორმა სოფელმა ითხოვა დირბთან შეერთება. მერმეთ მოდის აყარებული ხალხი და აცხადებენ, ვის რამდენი საქონელი წაართვეს და სხვა. ბევრი საჩივრებია ამ მხრივ, ვილაც თავხედ ლოხიშვილზე, ნულელებზე და არგნეთის მილიციონერებზე. ყველაფერს ამას გულდასმით ისმენს და იწერს უბის წიგნში რამიშვილი და პირდება დახმარებას. მან შეატყობინა ეს სამაზრო ერობის თავმჯდომარეს, რომელმაც უკვე მიიღო ზომები მოსასპობათ. საზოგადოთ დირბის თემი ძალიან უმწეო მდგომარეობაშია როგორც ნივთიერათ, ისე მომუშავე ძალების სიმცირის მხრივ. არავითარი სახსარი არა აქვს და არც ყავთ ერთი კაცი, რომელმაც მიუთითოს თემს, თუ რა უნდა აკეთოს მან. მილიციის და თემის კანცელარია ერთად არის, საქმის წარმოება ცუდათ არის. მთელ სათემოში მხოლოდ სამი შკოლაა ძველათ გახსნილი. წელს უნდათ მუმატონ ერთი. არ არის არც სამკითხველო და არც არავის გაზეთი მოსდის.

მთხოვნელების მოსმენის შემდეგ ის. რამიშვილმა მისცა გამგეობას ერთგვარი დარიგება. კრების შემდეგ იქმნა გამოტანილი იგივე შინაარსის რეზოლიუცია რაც შინდისში.

**ავლევი.** 18 ივლისს ის. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას ავლევის სათემოში. რამდენიმე ათასი კაცი და ქალი, უმეტეს ნაწილათ ოსობა. მოხსენების შემდეგ შემოდის აყარებული საჩივრები მარადიორებზე, იგივე არგნეთის და ნულის მილიციაზე. განსაკუთრებული სიმხეცე გამოუჩენია იგივე ლოხიშვილს. (ის ეხლა დაჭერილია). ეს ყოფილა ძველი „გამოჩენილი“ სტრაჟნიკი და ეხლა კი რამდენიმე კვირაა, რაც თარეშობს ამ მხარეში. რამდენიმე ქალებიც გაუუპატიურებია.

სამწუხაროთ ამ „მარადიორობაში“, ცარცვა გლეჯაში ჩართულა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრებიც. ზოგიერთებს უსარგებლიათ ამ გარემოებით და შეუსყიდიათ ძალიან იაფ ფასებში წართმეული საქონელი.

**გომი.** 19 ივლისს დიდი მიტინგი გაიმართა გომში, სადაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ის. რამიშვილმა. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები მიწის და სხ. შესახებ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მიწების დარიგებას მოუთმენლად ელის ხალხი. ამ კითხვის გარშემო ტრიალებს ხალხის გონება.

მიწების ფასებში გადაცემის შესახებ ბევრი პროვოკაცია იყო ხალხში რესპუბლიკის მტრების მიერ გავრცელებული, მაგრამ დღეს გლეხობამ უკვე გაიგო თუ რაშია საქმე.

მიტინგის შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, სადაც ხალხი იწონებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის ნაბიჯებს და პირდება ყოველივე დახმარებას.

მდგომარეობა მთელ მაზრაში კარგია. თუ ამ რამოდენიმე თვის წინეთ გორის მაზრაში კიდევ მოსახავდით მობოლშევიკე ჯგუფებს, თუ მაშინ კიდევ გაისმოდა ცოტა უკმაყოფილება მთავრობისადმი,—დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ასეთს ადგილი არა აქვს. ჩვენმა სოფლის მუშამ კარგათ გაიგო, თუ ვინ არიან ბოლშევიკები, როგორია მათი კომუნიზმი, რას აკეთებენ ისინი რუსეთში და ადერბეიჯანში. დღეს ხალხისთვის აშკარაა, რომ ჩვენი მთავრობა მართლაც დემოკრატიულია, რომ ის მართლაც ხალხისთვის ზრუნავს. სრული ნდობა და რწმენა მთავრობისადმი, თავის არჩეულ დამფუძნებელი კრებისადმი, შეგნებული დახმარება მთელი ხალხის მიერ რესპუბლიკისადმი,—ეს ახასიათებს დღეს ხალხის განწყობილებას. ჩვენ სოფლებში ვერ ნახავთ არამც თუ ბოლშევიკებს, არამედ—მობოლშევიკე ჯგუფებსაც. ხალხი დაცინვით იხსენიებს ზოგიერთებს. ამხანაგო, ცოტას წაიბოლშონიკებდა ეგაო და ეხლა კი მოკვიანდაო.

ს. ედი—ძე.

## წერილი რედ. მიმართ

მე მთავრობის მიერ დანიშნული ვარ რესპ. რკინის გზების კომენდანტათ. მოცემული მაქვს ინსტრუქცია, რომელშიც ჩამოთვლილია ჩემი მოვალეობანი, უმთავრესი ჩემი მოვალეობაა ზემოხსენებული რკინის გზების დაცვა მისი ყოველივე ქონებით. ამ მიზნით მე მემორჩილებიან რკინის გზებზე ყველა შეიარაღებული ძალები, რომლებიც გამოყვანილია რკინის გზის დასაცავათ. აგრეთვე რკინის გზების აგენტები ვალდებული არიან აღმომიჩინონ ამ საქმეში დახმარება. თუ ვინმეზე აღმეძრება საფუძვლიანი ეჭვები, რომ ის ბოროტმოქმედია, უფლება მაქვს გავაძეო რკინის გზის რაიონიდან, გადავაყენო სამსახურიდან და პასუხის გებაში მივსცე, რის შესახებაც უნდა ვაცნობო მის პირდაპირ უფროსს. აგრეთვე მივიღო მკაცრი ზომები თუ ვინმე რკინის გზას თავს ესხმის. გზათა დეპარტამენტის განკარგულებით ჩემი სასამსახურო ვაგონი შეიძლება მივაბა ყველა მატარებლებზე და ცალკე ორთქლმავალებზე, გარდა სწრაფისა. მუდამ ვარ რკინის გზის ხაზზე ვუწევ მას ზედამხედველობას და ყველა ჩემს მოქმედებაში პასუხის მგებელი ვარ გზათა დეპარტამენტის, მთავრობის და სახ. გვარ. მთავარი შტაბის წინაშე.

რკინის გზას უთვალავი მტერი ახვევია გარშემო და მისი დაცვა მოითხოვს აუცილებელ თავგანწირულ შრომას; მას შემდეგ, რაც მე შევუდექი ჩემი სამსახურის ასრულებას, არავითარი მნიშვნელოვანი მარცხი არ მომხდარა ლიანდაგზე. 1 აგვისტოს ღამის 2 საათზე ნიგოით-სეჯევახოს შუა ავაზაკები თავს დაესხენ იტალიელ კომერსანტებს, ბათომიდან მომავალ მატარებელ № 6 ზე, გამოსტაცეს ხელიდან ჩემოდანი ფულებით. ერთი მათგანი გ. დოლიძე იქვე იქნა შეპყრობილი ფულებით, სხვებმა კი უშველეს თავს. საიდუმლო აგენტებისაგან გავიგე, რომ ორი მათგანი იმყოფებოდნენ ბაკურიანის რაიონში საგარაკოთ. მე გადავწყვიტე მათ შესაპყრობათ. 4 აგვისტოს შევედი ბაკურიანში, სადაც ავაზაკები არ აღმოჩნდენ. მომავალი თავისუფალი ორთქლმავალით ჩამოვედი წაღვერში, მთელი ღამე მე და ჩემი თანამშრომლები ავაზაკების კვალს დავეძებდით. 5 აგვისტოს დილით მივიღე ცნობა, რომ ავაზაკებმა გაიგეს ჩემი იქ მისვლა, წამოვიდენ ფეხით კორტანეთისაკენ. მე გადავსწყვიტე მათი დადევნება და ამისათვის შევეკითხე სადგურის მორიგეს, ხომ არ მოელოდა რამეს, მან მიპასუხა, რომ მოდის ბაკურიანიდან თავისუფალი ორთქლმავალიო, რომელზედაც მე მივეცი განკარგულება ჩამოება ჩემი სასამსახურო ვაგონი, რაზედაც მან თანხმობა გამომიცხადა. ამ დროს სადგურში მორიგეობდა ბ-ნი ხამაშურიძე. ორთქლმავალი შეუჩერებლივ წავიდა, ჩემს შეკითხვაზე,—თუ რატომ არ მიაბეს ჩემი ვაგონი მორიგემ, ხამაშურიძემ მიპასუხა, რომ მან არ იცის ვინ გაუშვა ორთქლმავალი. ამ დროს კანტორაში იმყოფებოდენ სად. უფროსი ბ-ნი მახარაძე და სამი ქალი, რომლებიც უსაქმო კერძო ლაპარაკს შეექცეოდენ ბ. მახარაძესთან. სად. მორიგის განცხადების შემდეგ მე საჭიროთ დავინახე შევეკითხებოდი მას და სადგურის უფროსს ბ. მახარაძეს, თუ რაში იყო საქმე. რომ საზოგადოების თვალში არ დამეცირებინა სადგურის ადმინისტრაცია და თანაც სალაროდან მგზავრებზე ბილეთის გაყიდვის დროს ფული არ გადაეყოლებია, მე სადგურის მორიგეს მივეცი წინადადება ერთი წუთით მიეხურა სალაროს კარი, მე შევეკითხე სად. უფროსს ბ. მახარაძეს, ჰქონდა მას უფლება თუ არა ჩემი ვაგონი არ მოება თავისუფალ ორთქლმავალზე? და აგრეთვე ჰქონდა უფლება თუ არა მორიგის შეუკითხავათ ორთქლმავალი გაეგზავნა სადგურიდან? მან უხეშათ მიპასუხა, „ამის უფლება მაქვსო“. მის პასუხში გამოიხატებოდა ჩემდამი უდიერათ მოპყრობა, რომელმაც მე ხელი შემიშალა ჩემი მძიმე სამსახურის შესრულებაში. შეურაცყოფილმა აღელვებული ტონით უთხარი, რომ რუსის ჟანდარმის წინაშე რომ იყოს, ამას ვერ გაბედავდა, ასეთ საქციელს ვუწოდე ხულიგანური და თანაც ვუთხარი, რომ მისი პლარა წევრების არ მერიდებოდეს სი ღირსია სასტიკათ მოპყრობის. სალარო იყო დაკეტილი სულ ერთი წუთით, არც ერთი მგზავრი უბილეთოთ არ დარჩენილა; ჩემი დევნებით ავაზაკებს მიეცა საშუალება სამშვიდობოს გასულიყვნენ.

წავიკითხე „ერთობის“ № 182-ში „აღმაშფოთებელი ინცინდენტის“ სათაურით წერილი, რომელსაც ხელს აწერენ პატივცემული დამფუძნებელი კრების წევრი ბ. გაგლოევი და დრ. რედაქტორი გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ბ. მაჭავარიანი. ვითომ, როგორც დამსწრენი, აცნობენ საზოგადოებას ამ ინცინდენტს.

წერილის ავტორნი ბრალს მდებენ ვითომც მე მიმემართოს სადგურის უფროსისათვის ქუჩური ლანძღვა-გინებით, ვითომ ამომეღოს „მაუზერი“ და მგზავრები დამეშინებინოს, მაგრამ მათ ჩემთვის ვერაფერი გაებედოთ. სწერენ, რომ ასეთი მოქმედებით მე ჩირქს ვსცხებ ჩვენს სახელმწიფოს და ვაბნელებ ჩემებრ გმირების ღირსებას, რისთვისაც ავტორნი ღრმა პროტესტს და გულისწყრომას მიცხადებენ მე, ხოლო სად. უფროს ბ. მახარაძეს მათ სიმპატიას და თანაგრძნობას.

აქ ზედმეტათ არ მიმაჩნია გავაცნო საზოგადოებას იმ ადამიანის პიროვნება, რომელსაც ბ ბ. გაგლოევი და მაჭავარიანი უცხადებენ თანაგრძნობას.

მახარაძეს რკინის გზის დემოკრატიის უმრავლესობა იცნობს, როგორც შავ რეაქციის შვილს. სადგურ სურამში ხანგრძლივი სამსახურის დროს ეწეოდა ტყის „პოდრიადჩიკობას“ და მუშების უღირსი ექსპლოატაციით შეიძინა დიდძალი ქონება, სად. სურამის უკან ააგო სახლები, შეიძინა მთელი კვარტალი მიწა. რკინის გზის აგენტისათვის „პოდრიარჩიკობა“ აკრძალულია, რისთვისაც ის იყო გადაყენებული და გადიყვანილი სად. სუმბათოვოში. 1911 წლიდან ამ დრომდე ის აწარმოებს ბაკურიან-ბორჯომის ხაზზე ფარულ მოხერხებულ „პოდრიადჩიკობამ“ ამ ნიადაგზე მისგან გაყვლეფილი მუშები, ვის არ უნახავს. ბევრ მათგანისაგან მსმენია რეაქციის დროს საყვედურები და მუქარა. ეს ის მახარაძე გახლავთ, რომელმაც ბათომში უდანაშაულოთ მოკლა ჯინჭარაძე, მაგრამ ძველი ხრიკები აქაც გამოადგა და სასამართლოში თავი გაინთავისუფლა. ყველა მისი ბნელი საქმეების დასახელებას მე აქ არ შეუდგები ეს მომავალმა კომისიამ გამოარკვიოს, მე მქონდა ცნობა, რომ გასულ წელს ნოემბრის აჯანყების დროს მ. მახარაძე და სად. ბაკურიანის უფროსი ბ. მაჭავარიანი ეწეოდენ ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოქმედებას წინადადებაც მქონდა მოცემული, რომ ესენი დამეტუსაღებინა, მაგრამ უდროობის გამო მე ეს სისრულეში ვერ მოვიყვანე. მაქვს ცნობები წაღვერიდან, რომ მან ხალხში უდიერათ მოიხსენია დამფუძნებელი კრების წევრი ყველასაგან დიდათ პატივცემული ის. რამიშვილი.

ბევრი მაქვს ბ. მახარაძეზე სხვა საბუთებიც, მაგრამ მისი პიროვნების დასახასიათებლათ ზემოთ ჩამოთვლილიც კმარა. ხსენებული ინცინდენტიც გამოწვეული იყო მით, რომ ის ჩაერია მორიგის მოვალეობაში, რის უფლებაც მას არ ჰქონდა, მორიგის შეუკითხავათ ორთქლმავალის გაშვებით მას შეეძლო მოეხდინა მატარებლების დაჯახება. მას არც იმის უფლება ჰქონდა, რომ ჩემი განკარგულება არ აესრულებია, თუნდაც თვითონ ყოფილიყო მორიგეთ. მან ხელი შემიშალა სამსახურის შესრულებაში და მისი უყურადღებობით და უხეში სიტყვით მომაყენა შეურაცყოფა. ყველა ამის შემდეგ ჰქონდა ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი უფლება ბ. გაგლოევს და მაჭავარიანს, რომ თავიანთი თანაგრძნობა და სიმპატია გამოეცხადებიათ ბ. მახარაძისათვის, ჩემთვის კი გულის წყრომა და პროტესტი? ბ. გაგლოევი სწერს, ვითომ ის და მაჭავარიანიც დასწრებოდენ ამ ინცინდენტს, რამაც ხალხი ააღელვაო, მოგახსენებთ რომ კანტორაში არ ბრძანდებოდით თქვენ, არც ბ-ნი მაჭავარიანი და არც საზოგადოება, იყვენ მხოლოდ სამი ქალი, რომლებიც უსაქმოთ ელაპარაკებოდენ სადგურის უფროსს, იყო მორიგე ბ. ხამაშურიძე, მე და ჩემი თანამშრომელი.

თქვენ და ბ-ნმა მაჭავარიანმა ეს ინციდენტი გაიგეთ ყალბი ინფორმაციის საშუალებით, ალბათ, ბ. მახარაძისა და მისი ამხანაგებისაგან. თქვენ სწერთ, ვითომ მე ბ. მახარაძისათვის მიმემართოს ქუჩური სიტყვებით, მე მის მოქმედებას უწოდე ხულიგანური მოქმედება, ეს სიტყვა ლიტერატურულია, ხშირათ გამიგონია თქვენი პირით ტრიბუნიდან. თქვენ სწერთ ვითომ მე „მაუზერი“ ამომეღოს, ერთი რომ მე „მაუზერი“ არა მაქვს, მეორე ჩემს იარაღს ამოღება არ სჭირია და ეს იცის ყველა იმან, ვისაც მე უნახივარ. თქვენ სწერთ, რომ ამის ნნახველმა საზოგადოებამ კრინტიც ვერ დასძრაო, თქვენ თავ განწირული მებრძოლნი იქ არ ბრძანდებოდით? თქვენ ხომ არ გეშინოდათ ჩემი? თქვენ უფლება გქონდათ და ვალდებულიც იყავით როგორც დამფუძნებელი კრების წევრი, მე თუ უკანონოთ რამეს ჩავდიოდი, შეგეჩერებიეთ და მოგეცათ შენიშვნა. თქვენ შენიშვნას თუ არ მივიღებდი სასტიკათ ვაგებდი პასუხს. ბ ნო დეპუტატო! თქვენ ნათქვამს ხალხი ყურადღებას აქცევს, თქვენი ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი ვალია, ყოველივე სისწორით გაიგოთ და სისწორითვე გადასცეთ საზოგადოებას. თქვენ გეშინიათ ჩემი ჩირქის მოცხების, რატომ მე მიფრთხილდებით და თავის თავს არა? მე თქვენ წერილში ამხანაგს მიწოდებთ, მაგრამ თქვენგან ამხანაგურს არაფერს ვხედავ, უფრო იმის ამხანაგი გამოდიხართ, ვისაც სიმპატია—თანაგრძნობას უცხადებთ. თქვენ სწერთ, რომ საზოგადოებას შეეშინდაო, ჩემი საზოგადოებას არ ეშინია, ჩემი ეშინია ყველა ჯურის რეაქციონერებს.

მე საზოგადო ასპარეზზედ მყავს შეძენილი ბევრი მტრები, რომლებიც თქვენი წერილით ძალიან წამოყოყოჩდებიან, მაგრამ საკმარისათ მიცნობს საქართველოს დემოკრატია და თქვენი წერილი მას შეცდომაში ვერ შეიყვანს. და ვერც მე დამიხსნის ჩემი მოვალეობის ასრულებას. მახარაძე ბედნიერია მით, რომ რეაქციის დროს ნიკოლოზის მოხელეები უწყობდენ ხელს, რესპუბლიკაში კი შეგნებით თუ შეუგნებლობით თქვენ და ბ. მაჭავარიანი. ისტორიამ მე თუმცა დიდი ხნით საშინელი როლი მარგუნა, როგორიც არის იარაღით ხელში ბრძოლა, მაგრამ მე ამ მოვალეობას ბოლომდე შევასრულებ ამხანაგებთან ერთად რესპუბლიკის და სამშობლოს საკეთილდღეოთ.

რკინის გზების ხაზის კომენდანტი **გოგვაძე.**

## ცნობები

1918 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან დავდიოდი ბათომის ფორტებზე ქართველ ჯარის კაცთა და აფიცრების დასასაფლავებლათ, პირველ დღესვე ვნახე ანარიის ფრონტზე არტილერისტი (შუტია) ონისიმე დოლიძე, რომლისთვისაც ტანისამოსი არ გაეძროთ და შერჩენოდა გულზე სისხლის ჯვარი და შიგნით ხატი. ჩემთან სხვათა შორის იყო ბეითალი ექიმი ცინცაძე, რომელსაც გადავეცი ხატიც და ჯვარიც. დოლიძე ჩამოვასვენე ბათომიდან მე და ჭირისუფლებს უამბე, რომ ზემოხსენებული ნივთები გადავეცი ბ-ნ ცინცაძეს. ჭირისუფლები ელოდებიან ჩემგან ნივთებს და მე კი ვერსად შევხვდი ცინცაძეს. ვსთხოვთ ვინც იცოდეს სად იმყოფება ბეითალი ცინცაძე (სახელი აღარ მახსოვს, იმ ხანებში იყო ბათომის ციხის უფროს ბეითალ-ექიმათ.) მაცნობოთ. თფილისის ქალაქის კომენდანტის სამმართველო, ვლადიმერ ხარაიძეს—ილია ხარაიძესათვის.

—

7 აგვისტოს დავკარგე ქიათურის რაიონში მოწმობა, მოცემული ქიათურის რაიონის ს. გ. შტაბიდან, საფულე 1200 მანეთით და სხვა. ვაცხადებ, რომ აღნიშნული მოწმობა გაუქმებულია. რეზერვის გვარდიელი ვასილ **ხუტუნიშვილი.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

**ბორჯომში**
ექიმი
**ბესარიონი პაპოვი**
თბილისიდან.
იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში.
(2554—10—6)

**საჭიროა შარშანდელი**
**ქერი**
ამხ. „დიტრიხის“ ლუდის ქარხნისათვის მისამართი: დიდუბის ქ. № 2, ტელ. 7—80. (2652—3—3)

**კბილებს**
ძველს, ხელოვნურს კარგი ღირსებისას
**ვყიდულობ მაღალ ფასებში**
პეტროგრადის ქ. № 3 გოლდფერტი შესასვლელი ბაპტისტების სამლოცველო სახლის ქვედა სართულში მარცხნივ.
(2686—3—2)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ ბედევანიშვილისა**
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმმა
**ნიკოლოზ მახვილაძემ**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

ექიმი **ივ. ბოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № [illegible] სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუ[illegible] შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ბორჯომში
ექიმი
**ს. ვ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“.
კ. სიამაშვილის სახლში.
(თ. 2634.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vossel-ის მეთოდებით ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—11)

ექიმის
**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 28 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოყროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, (სოლოლაკი)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ვეცხლის მრეწველთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

დოქტორი
**გ. ვ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ულექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
**ე. ი. პალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს.
(2446—თ.)

ექიმი
**[illegible]**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. [illegible] ქ. № 5. ტელეფ. 10—35.
(1742—თ.)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს.
(2383—თ.)

ექიმი
**[illegible]**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებით ავადმყოფებს; საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. ა. შაჰრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

**გამოვიდა**
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
**„სოფლის მუშა“**
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა
**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**
მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სამელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშასათვის“.
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ვლ. ლომთათიძე, ივ. გომართელი, ხტ. ელიაძე.

## ბორჯომის წყალი
მაქვს პატივი გაცნობო კლიენტებს რომ, ბორჯომის შუშის რემონტის გამო, ბორჯომის წყლის ჩამოსხმა დროებით შეჩერებულია და მასთანვე დამზადებული და შენახული არც მთავრობის საწყობებში და არც ჩვენს საქართველოს საწყობებში არ მოგვეპოვება გარდა თფილისისა, რომელშიაც გვაქვს არა უმეტესი ასი ყუთისა და ქუთაისის საწყობში არა უმეტესი სამოცი ყუთისა რაც ადგილობრივი საჭიროება მოითხოვს წყლის ჩამოსხმა განახლდება სულ მოკლე ხანში რაზედაც ეცნობება ყველას გაზეთის საშუალებით. (2702—1—1)